საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუნი სიფფუვაა, ფფუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკეთესობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 7-8 სექტემბერი. 2022 წ. №136-137 (9475-9476) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი

თქვენთან ჯერ კიდევ არ არის თავისუფლება და დემოკრატია? მაშინ ჩვენ მოვალთ და გასწავლით!

ადამიანი თავისუფლებით ყოფილა დაწყევლილი!

ჭკუიდან გადასული ნახევარი მსოფლიოს უსაქციელობის ქრონიკები

შინაური თუ უცხოელი (უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი — გარეული) პოლიტიკოსები აგერ უკვე სამი ათეული წელია, ჩაგვჩიჩინებენ: თქვენთან სამოქალაქო საზოგადოება უნდა ჩამოვაყალიბოთო, სამოქალაქო საზოგადოება კი ისეთი საზოგადოებაა, სადაც კანონის უზენაესობაა გამეფებული და კანონისგან გადახვევა არავის ეპატიება, არც მეფეს და არც მონა-ყმასო. აი, ისეთი ჩვენთან რომ არისო, — დასძენდნენ გარეულ პოლიტიკოსები.

აგაშენათ ღმერთმა-თქო, ვიყვირეთ ჩვენ და გადავეშვით „სამოქალაქო საზოგადოების“ მშენებლობის პროცესში (მშენებლობის გამოცდილება არ გვქონდა თუ რა)! რაც ჩვენ „კომუნისტური საზოგადოების“ მშენებლობაზე ოფლი ვღვარეთ, ის რომ თოხითა და ბარით, ქლიბითა და ჩაქუჩით, ან, თუნდაც, კალმით შრომაზე დაგვეხარჯა, ჩვენს ბედს ახლა კაი ჯიშიანი ძაღლიც არ დაჰყეფდა! მაგრამ, რა? კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა დამთავრებული რომ გვეგონა, მაშინ დაერივნენ მშიერი მგლებივით ერთმანეთს გუშინდელი კომუნიზმის მშენებლები.

ასე იყო თუ ისე, ვიფიქრეთ ჩვენ: კომუნისტური საზოგადოება თუ ვერ ავაშენეთ, იქნებ სამოქალაქო საზოგადოება მაინც ავაშენოთ, რომლის მაგალითსაც ჩვენი შინაური და გარეული პოლიტიკოსები აგერ საზღვრის იქით ქვეყნებში გვიჩვენებენ (თუ გვპირდებიან გიჩვენებთო!)... დავიწყეთ, მარა, რა დავიწყეთ: „კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში იყო ბნელი და უკუნი, დიქტატურა და უკანონობა, მაგრამ გათენდა და რაღა გვიჭირს აწი!“ — დღენიადაგ გაჰყვიროდა ტელევიზია, პრესა და მიტინგები, რაც ჩვენი ცხოვრების ნაწილი გახდა.

იხ. 9 გვ.

„პრემიერმა არ გაამართლა ერთი ან მეორე მხარე, არამედ დახურულად გამოაცხადა ნადირობის სეზონი და შესაძლოა, ეს თვითონ ამერიკული მხარის ინიციატივა იყო“

იხ. 2 გვ.

სალომე ზურაბიშვილი:

ჩვენ არ გვინდა ტერიტორიების ომით შემოერთება, ჩვენ გვინდა ერთიანი საქართველო, რომელიც გაერთიანებული იქნება კოლექტიური გადაწყვეტილებით, და ეს ჩვენი მტკიცე პოლიტიკაა

„მოხარული ვარ, კიდევ ერთხელ, პირადად გიმასპინძლოთ და თქვენს მნიშვნელოვან კონფერენციაში ამ ფორმით მივიღო მონაწილეობა. მინდა, პირველ რიგში, მივულოცო ორგანიზატორებს: მაკკეინის ინსტიტუტს, ჯორჯ ბუშის ინსტიტუტს და საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრს. ქალბატონო და ბატონო ელჩებო, მოხარული ვარ, რომ გმასპინძლობთ თქვენ და კონფერენციის ევროპელ და ამერიკელ მონაწილეებს. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უკრაინისადმი მიძღვნილი ეს კონფერენცია საქართველოში ტარდება, რაც ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რაც ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ უკრაინისა და საქართველოს ბედი თავიანთი ისტორიით მჭიდროდაა დაკავშირებული ისტორიით, რომელიც, შესაძლოა, არ აგვირჩევია, მაგრამ ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში, იგივე ეპიზოდები განვლეთ.

ჩვენ გავიარეთ გზა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნიდან, რაც ჩვენი ერების არჩევანი არ ყოფილა, პირველ დამოუკიდებლობამდე, რაც ჩვენი

სალომე ზურაბიშვილმა კონფერენციის „დიდება უკრაინას“ მონაწილეებს უმასპინძლა და სტუმრებს სიტყვით მიმართა

ქვეყნებისათვის მცირეხნიანი აღმოჩნდა, შემდეგ ისევ ძალისმიერი მეთოდებით საბჭოთა კავშირთან შეერთება, და ამ ძალიან რთული რეპრესიების პერიოდმა უკრაინასა და საქართველოში სხვადასხვა ფორმა მიიღო: (თუმცა ძირითადად ერთი და იგივე იყო) ადამიანის უფლებების ჩახშობა, ეროვნული იდენტობის ჩახშობა, ჩვენი ენების ჩახშობის მცდელობა (და ჩვენ ყველა ვხედავთ, რომ ამან საბოლოოდ არ იმუშავა). ამ ყველაფერმა კიდევ უფრო ახლო კავშირები ჩამოაყალიბა და რა თქმა უნდა, 1991 წელს მეორე დამოუკიდებლობის მოპოვებისას, ჩვენი ქვეყნები ერთსა და იმავე გზას დაადგნენ — ევროპული ინტეგრაციის, დემოკრატიის, დამოუკიდებლობის კონსოლიდაციის, ინსტიტუტების კონსოლიდაციის გზას. ეს ძალიან რთული გზაა, რადგანაც საბჭოთა წარსული არაა ის, რომელსაც ასე მარტივად მოიშორებ — ეს ისაა, რაც გგონია, რომ შეესაძლოა, მოიშორე, მაგრამ მოულოდნელად უეცრად ბრუნდება ისე, როგორც დღეს ვხედავთ, როდესაც ვიღებთ კანონებს, რომლებიც გარკვეულწილად აფართოებს მოსმენებს. ეს არაა ევროპული მიმართულება, ეს წარსულის რაღაც გამეორებაა, სადაც ვფიქრობთ, რომ ამას შეუძლია ჩვენი მმართველობის გაუმჯობესება.

იხ. 4 გვ.

5 გვარის სიყვარული დიდი ღირსებაა!

კელი დეგნანი: აშშ მხარს უჭერს არა რომელიმე პარტიას, არამედ საქართველოს მოსახლეობას!

4

სოციალური თანასწორობა, ჯანსაღი გარემო, დემოკრატიის გაძლიერება, უსაფრთხოება და სტაბილურობა

მთავრობის სხდომაზე ოფიციალურად გამოგვაქვს „ხედვა 2030 – საქართველოს განვითარების სტრატეგია“, მთავრობა დაამტკიცებს დოკუმენტს და ის ხელმისაწვდომი რამდენიმე დღეში გახდება, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 5 სექტემბრის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერის თქმით, ეს დოკუმენტი ეფუძნება ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისკენ ხალხის საერთო მისწრაფებას.

„პირველი საკითხი, რაზეც მინდა ვისაუბრო, ეს არის ჩვენი დაპირება, რომელზეც ჩვენ გასულ წელს ვსაუბრობდით. ეს არის ინიციატივა, რომელიც უკავშირდება ქვეყნის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიას – 2030, ჩვენი ხედვა, რომელშიც გაიწერა პრაქტიკულად ყველა მიმართულება, თუ როგორ უნდა განვითარდეს ჩვენი ქვეყანა. თითოეულმა უწყებამ მოამზადა საკუთარი განვითარების სტრატეგია, ხედვა და გეგმები და ახლა ჩვენ ოფიციალურად გამოგვაქვს აღნიშნული საკითხი, სახელწოდებით – „ხედვა 2030 – საქართველოს განვითარების სტრატეგია“. ეს დოკუმენტი ეფუძნება ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისკენ ჩვენი ხალხის საერთო მისწრაფებას. ეს არის ქვეყანა, რომელიც გულისხმობს მდგრად და ინკლუზიურ ეკონომიკურ განვითარებას. ეს ჩვენი საერთო ამოცანაა – სოციალური თანასწორობა, ხარისხიანი ჯანდაცვა, განათლება, ეკოლოგიურად სუფთა და ჯანსაღი გარემო, დემოკრატიის გაძლიერება, უსაფრთხოება და სტაბილურობა. ეს ყველაფერი ჩამოყალიბებულია ამ დოკუმენტში. მინდა ყველა უწყებას აქტიური მუშაობისთვის მადლობა გადავუხადო. ჩვენ ეს დოკუმენტები მზად გვქონდა შარშანვე, მაგრამ ამის შემდეგ დაიხვეწა თითოეული დოკუმენტი, განახლდა მონაცემები და დღეს უკვე დასრულებული სახით წარმოვადგენთ, მთავრობა დაამტკიცებს და ეს დოკუმენტი ხელმისაწვდომი რამდენიმე დღეში გახდება“, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის სხდომაზე დავამტკიცებთ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიას – 2022-2030. დოკუმენტი გავლილია ყველა აქტორთან, როგორც საერთაშორისო საზოგადოებასთან, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებთან. პრემიერ-მინისტრის თქმით, დოკუმენტი საქართველოს პარლამენტს გადაეგზავნება დასამტკიცებლად.

„მინდა ვაცნობო ჩვენს მოქალაქეებს, რომ დღეს მთავრობის სხდომაზე დავამტკიცებთ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიას – 2022-2030. მოგეხსენებათ, რომ 2014 წელს პირველად იქნა დამტკიცებული ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014-2020 წლებისთვის, რომელიც ძალიან სრულყოფილი დოკუმენტი იყო. მოგეხსენებათ, რომ ამ დოკუმენტზე ასევე მუშაობდა ექსპერტი, ბატონი თომას ჰამერბერგი. საზოგადოებას მინდა შევახსენო, რომ ჩვენ კარგად გვახსოვს, თუ რაოდენ დიდი გამოწვევები არსებობდა ზოგადად ამ სფეროში, ადამიანის უფლებებში. კარგად გვახსოვს, რომ წინა ხელისუფლების დროს რეალურად დემოკრატიის არანაირი ნიშანწყალი არ არსებობდა და საერთოდ ფეხქვეშ იყო გათელილი ადამიანის უფლებები ყველა მიმართულებით. რა თქმა უნდა, ჩვენ მას შემდეგ რადიკალურად შევცვალეთ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ვითარება. ჩვენ ახლა ახალი დოკუმენტი მოვამზადეთ, რომელიც გავლილია ყველა აქტორთან, საერთაშორისო საზოგადოებასთან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მე მინდა გითხრათ, რომ დღეს უკვე სრულყოფილი სახით გამოგვაქვს აღნიშნული სტრატეგია, რომელსაც დღეს მთავრობა მოიწონებს და გადაუგზავნის პარლამენტს დასამტკიცებლად“, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

„დღეს ჩვენ მივემგზავრებით ბრიუსელში. მოგეხსენებათ, რომ ასოციირების საბჭოს მე-7 სხდომა გაიმართება ბრიუსელში. დელეგაციას პირადად მე ვუხელმძღვანელებ, მინისტრებიც იქნებიან, ბატონები ეკონომიკის მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი, და ჩვენ, რა თქმა უნდა, გვექნება საუბარი ყველა იმ პროგრესსა და რეფორმაზე, რომლებზეც ჩვენ ახლა ვმუშაობთ. ასევე, ბუნებრივია, გვექნება საუბარი იმ 12 რეკომენდაციაზე, რომლებზეც აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს პარლამენტში ჩვენი მმართველი პარტიის მიერ და, რა თქმა უნდა, საუბარი ასევე შეეხება ქვეყანაში მიმდინარე ვითარებას, როგორც პოლიტიკურს, ისე ეკონომიკურს, ზოგადად, რეგიონში არსებულ გამოწვევებს უკრაინის ომთან დაკავშირებით და მის შესაძლო გავლენებს ზოგადად მთელ რეგიონსა და ევროპაზე. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ, რა თქმა უნდა, დეტალურად წარვუდგენთ ჩვენს ევროპელ პარტნიორებს ჩვენ მიერ მიღწეულ პროგრესს“, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

* * *

ოფიციალურად გამოქვეყნდა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები, რომლებმაც ბოლო 7 თვის განმავლობაში 10,3% შეადგინა. ეს მართლაც უპრეცედენტო მაღალი ეკონომიკური ზრდაა მთელ მსოფლიოში, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვნად, 40%-ით არის გაზრდილი ექსპორტი, ფულადი გზავნილები კი, 46.8 %-ით არის გაზრდილი და 300 მლნ დოლარს გადააჭარბა.

„მინდა კიდევ ერთხელ ვუთხრა ჩვენს მოქალაქეებს, რომ წინა კვირას უკვე ოფიციალურად გამოქვეყნდა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები, რომლებმაც შეადგინა 10,3% ბოლო 7 თვის განმავლობაში. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ეს არის მართლაც უპრეცედენტო მაღალი ეკონომიკური ზრდა მთელ მსოფლიოში. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ძალიან დიდი გამოწვევებია უკრაინის ფონზე არა მხოლოდ ევროპაში, არამედ ეს პრობლემები გადაცემულია უკვე მთელ მსოფლიოზე და ამ ფონზე ჩვენ, ჩვენი ქვეყანა ვახერხებთ ორნიშნა ეკონომიკური ზრდის მიღწევას, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან მისასალმებელია. აქვე მინდა მოკლედ ვთქვა, ამაზე წინა მთავრობის სხდომაზეც ვილაპარაკე, რომ ექსპორტი მნიშვნელოვნად, 40.%-ით არის გაზრდილი. ასევე, მინდა ვაცნობო ჩვენს მოქალაქეებს, რომ ფულადი გზავნილები 46.8 %-ით არის გაზრდილი და 300 მლნ დოლარს გადააჭარბა. რაც შეეხება ბიზნესსექტორს, ჩვენს მოქალაქეებს მინდა ვუთხრა, რომ ბიზნესსექტორში ბრუნვა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ასევე, დასაქმებული ადამიანების რაოდენობა გაზრდილია როგორც პირველ კვარტალში, ისე მეორე კვარტალში და ბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ ბიზნესსექტორის ბრუნვა 25%-ით არის გაზრდილი იანვარ-ივნისში, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან მისასალმებელი მონაცემებია“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.



უშეცდომოდ არ გვივლია გზები, გავწმენდილვართ, დავრჩენილვართ „ძმები“!..

„პრემიერმა არ გაამართლა ერთი ან მეორე მხარე, არამედ დახურულად გამოაცხადა ნადირობის სეზონი და შესაძლოა, ეს თვითონ ამერიკული მხარის ინიციატივა იყო“

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, **ყოფილი თანაგუნდელების პოლემიკის განვრცობა ქვეყნის ინტერესებში არ შედის. ყველა სახელმწიფოს და პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ამერიკას, რომელიც №1 სახელმწიფოა მსოფლიოში, თავისი ინტერესები აქვს ყველა მიმართულებით. „ჩვენი ყოფილი თანაგუნდელების კრიტიკაც მოვისმინე და პოლემიკაც. ზოგადად, მიმაჩნია, რომ ამ პოლემიკის შემდგომი განვრცობა, მისი გაღრმავება და გადაჭარბება არ შედის ჩვენი ქვეყნის ინტერესებში. მე ვფიქრობ, რომ მხოლოდ კრიტიკა და კრიტიკული კითხვების დასმა არ არის საკმარისი და საჭირო. უფრო მეტიც, მინდა ვთქვა და შევახსენო ყველას, რომ ამერიკას, მას შემდეგ, რაც ჩვენ აღვადგინეთ დამოუკიდებლობა, ძალიან ბევრი პოზიტიური პროექტი აქვს განხორციელებული, ძალიან ბევრი დახმარება აქვს გაწეული ჩვენი ქვეყნისთვის, არაერთი მიმართულებით.**

ქალბატონი დეგნანი არის ძალიან აქტიური ელჩი და იცით, რომ ის აქტიურად არის ჩართული ყველა იმ პროექტების და პროგრამების განხორციელებაში, რომელსაც ამერიკა ახორციელებს ჩვენს ქვეყანაში. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ასეთი პოლემიკით,არათუ გავაძლიერებთ ჩვენს ურთიერთობას ამერიკასთან, არამედ დავასუსტებთ, ამიტომ ჩემი როგორც პრემიერ-მინისტრის ამოცანა და სურვილია, რომ უფრო მეტად გავაძლიეროთ და გავუფრთხილდეთ ამ ურთიერთობებს“, – განაცხადა **ირაკლი ღარიბაშვილმა.**

შეგახსენებთ, რომ პრემიერის ამ განცხადებამდე პრეზიდენტმა საგანგებო ბრიფინგზე მთავრობის მეთაურს და უმრავლესობას მიმართა, რომ უნდა გაემიჯნონ ოთხეულს, რომლებიც მისი თქმით, წარმოუდგენელი ტექსტებით და რიტორიკით გამოდიან. **სალომე ზურაბიშვილის** თქმით, ძალიან მკაფიოდ უნდა იყოს ნათქვამი, რომ საქართველოს ომში ჩართვა არც არავის უნდა და ეს არც არავის სჭირდება.

„ძალიან ნათელი ნაბიჯებია პრემიერისთვის, მთავრობისთვის და უმრავლესობისთვის გადასადგმელი. პირველ რიგში, ეს არის როგორი აუცილებლობა, მეტი რომ არ შეიძლება. პირველ რიგში, უნდა გაემიჯნოს პრემიერი, მთავრობა, უმრავლესობა იმ რაღაც სამეულებს, ოთხეულებს, თუ ვიღაცებს, რომლებიც წარმოუდგენელი ტექსტებით და რიტორიკით გამოდიან. არ შეიძლება ერთი ხელით ვითხოვდეთ ამ პერსპექტივას და შემდეგ კანდიდატის სტატუსს და მეორე მხრივ, ხან ვლანძღავდეთ ჩვენ ამერიკელ სტრატეგიულ პარტნიორს, ხან ევროპის კომისიას და ხან ვაბრალებდეთ სხვადასხვა ევროპელებს და სხვადასხვა პარტნიორებს, რომ ვითომ, მათ უნდათ ჩვენი ჩართვა რაღაც ომში და ეს არის მათი მიზანი. ეს იყო ძალიან მკაფიოდ ნათქვამი - არავის არ უნდა ჩვენი ომში ჩართვა და არც არავის სჭირდება ჩვენი ომში ჩართვა, ეს არის ისეთი მოგონილი ტყუილი, როგორიც საბჭოთა პროპაგანდის მანქანის დასრულების შემდეგ არავის სმენია, ცოტა მოვიდეთ გონზე და არ გვინდა ამ რაღაცების მოგონება“, – განაცხადა **სალომე ზურაბიშვილმა.**

უმრავლესობის ყოფილი წევრი, **დიმიტრი ხუნდაძე,** რომელიც იმ ოთხეულის ერთ-ერთი ლიდერია, აცხადებს, რომ ოთხეულმა კი არ დაასრულა მოღვაწეობა, არამედ ოთხეული ახლა იწყებს. მისი თქმით, მათმა პრინციპულობამ ხელი უნდა შეუწყოს ჭეშმარიტ პარტნიორულ ურთიერთობებსაც, ისე რომ, ანგარიშგასაწევი იყოს ქვეყნის ეროვნული ინტერესები.

„ფაქტია, რომ ჩვენ მძიმე ტვირთი ვიკისრეთ, ღიად ვისაუბრეთ პოლიტიკურ კულისებში მიმდინარე ისეთ საკითხებზე, რასაც ბევრი ვერ გაბედავდა. სათქმელი კიდევ უფრო მეტი გვაქვს, მაგრამ თავიდანვე განვაცხადეთ, რომ უმჯობესია, ყველაფრის სააშკარაოზე გამოტანა არ გახდეს საჭირო. რაც

„ნადირობის სეზონი“ დაიხუოა?

შეეხება პრემიერის განცხადებას, ჩემთვის იმის მანიშნებელი იყო, რომ პროცესები სასიკეთოდ წარიმართება.

პრეზიდენტზე კი რა გითხრათ, რომელმაც ვიღაც ოთხეულად მოიხსენია არაერთგზის პარლამენტის წევრები, რომელთა უკანაც ამომრჩეველთა დიდი არმია დგას. მას მინდა შევახსენო, რომ „ამ ვიღაცების“ წყალობით გახდა პრეზიდენტი, რაშიც თავად მისი წვლილი არც მეტი და არც ნაკლები, ნულია“, — აცხადებს **დიმიტრი ხუნდაძე.**

პარტია „მოქალაქეების“ დეპუტატი **ლევან იოსელიანი** დარწმუნებულია, რომ პრემიერ-მინისტრის განცხადების შემდეგ, ოთხეულმა თავისი თავი ამოწურა. შესაბამისად, ელოდება რიტორიკის შერბილებას.

„ვფიქრობ, რომ ამ ოთხეულის გზავნილები და წერილები დასრულდება. სავარაუდოდ, „ქართულმა ოცნებამ“ რიტორიკის შეცვლა გადაწყვიტა. თავიდანვე უარყოფითად ვაფასებდი მათ გამოსვლებს და კარგი იქნება, თუ ამას წერტილი დაესმება და სტრატეგიული პარტნიორის მიმართ მეტი პატივისცემა იქნება გამოხატული. მთლიანობაში, ველოდები ზოგადად რიტორიკის შერბილებას“, — ამბობს **ლევან იოსელიანი.**

„ლელოს“ წევრი, **დავით უსუფაშვილი** დარწმუნებულია, რომ ნიუ-იორკისკენ მიმავალ პრემიერს ტაქტიკურად სჭირდება თითქოს დაათბოს აშშ-სთან ურთიერთობები. მისი თქმით, „ქართულმა ოცნებამ“ შინაგანად გადალახა ის რუბიკონი, რომლის შედეგადაც დემოკრატიული დასავლეთის მას ეშინია.

„პრეზიდენტის ნათქვამი, რომ გაემიჯნოს ოთხეულს, ნიშნავს იმას, რომ პრეზიდენტს ეჭვი არ ეპარება და ის, რომ ცალკე არიან, ეს იყო თამაში და ახლაც არის თამაში, პრეზიდენტმა თქვა — „დაასრულეთ ეს თამაში“. ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ ეს წერილები და მთავრობის მესიჯები ერთ ადგილზე იწერებოდა და ხმოვანდებოდა?! ახლა ტაქტიკურად ნიუ-იორკისკენ მიმავალ პრემიერს ცოტა არ იყოს სჭირდება ცოტა თითქოს დაათბოს ურთიერთობები, რადგან ყველა შესაძლო დონიდან ყველა ჩვენი მეგობარი უკიდურესად შეშფოთებული და შეწუხებულია იმ სახელისუფლებო პოლიტიკის გამო, რასაც ბოლო ხანებში ეს ოთხეული ახმოვანებდა და დანარჩენები ძირითადად თავს უქნევდნენ“, — განაცხადა **დავით უსუფაშვილმა.**

პრემიერ-მინისტრის შემრიგებლური განცხადება აშშ-ს და აქ მისი ელჩის მიმართ, რომელიც ყველამ თავისებურად გაიგო, ანალიტიკოს **ზაალ ანჯაფარიძის** განცხადებით, ოდნავადაც ვერ შეაცვლევინებს არსებულ და ყველასათვის ცნობილ პოზიციას და მიდგომას ამ თემაზე. როგორც ანალიტიკოსი ამბობს, არ იქცევა აშშ-ს ელჩი ისე, როგორც უნდა იქცეოდეს ტრადიციულად ელჩი მასპინძელ ქვეყანაში. მისი თქმით, არც ევროპარლამენტარები არიან ფრთიანი ანგელოზები.

„რეზოლუცია საქართველოზე, რაც მათ 9 ივნისს მიიღეს, ყოველთვის დარჩება სამარცხვინო შავ ლაქად საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში! რაც შეეხება ღარიბაშვილის განცხადებას, ბევრი მიზეზი შეიძლება ამას ჰქონდეს. ალბათ, რეალური მიზეზები უფრო შიდა პარტიულ სამზარეულოში და იმ შიდა კომუნიკაციებში უნდა ვეძებოთ, რაც მმართველ პარტიას და აშშ-ს შორის შესაძლოა მიმდინარეობდა. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი კომუნიკაცია, ალბათ, შედგა და ვფიქრობ, რომ ეს კომუნიკაციაც არის ერთ-ერთი განმაპირობებელი ამ რიტორიკის შერბილებისა.

მეორე მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ღარიბაშვილი ბრიუსელში მიემგზავრება საქართველო-ევროკავშირის ასოციირების შეხვედრაზე, სადაც თავმჯდომარე იქნება და მას, ამ შეხვედრისთვის შეიძლება დასჭირდა ასეთი რიტორიკის გამოყენება. მაგრამ მესამე მიზეზი ალბათ ის არის, რომ როდესაც ეს მკაცრი რიტორიკა გარკვეულ შედეგს აღწევს და მხარეები დაინახავენ ამ შედეგს, რომელიც შეიძლება იყოს დადებითი, ან უარყოფითი, მერე იწყება პოზიციების გადახედვა — ღირს თუ არა ამ რიტორიკის გაგრძელება“, — აცხადებს **ანჯაფარიძე.**

გარდა ამისა, ანალიტიკოსის შეფასებით წმინდა პოლიტტექნოლოგიური კუთხითაც „ქართულ ოცნებას“ სჭირდებოდა გამიჯვნა ამ ოთხეულისგან და თავის მხრივ, ოთხეულსაც სჭირდებოდა ის, რომ საზოგადოებაში არ ყოფილიყვნენ აღქმული როგორც „ქართული ოცნების“ ერთგვარი გაგრძელება.

რაც შეეხება კითხვას, ოთხეულის რიტორიკით დაზარალდა თუ არა ქვეყანა — გააჩნია ვინ, რას გულისხმობს დაზარალებაში. შესაძლოა, ვიღაცისთვის ეს აღიქმებოდეს როგორც დაზარალება. ის ხალხი, ვინც ლაპარაკობს, რომ საქართველო დაზარალდა, მათ აქვთ ერთგვარი სერვილიზმით გაჟღენთილი დამოკიდებულება დასავლეთის მიმართ. ანუ, პატრონყმური დამოკიდებულება, რომ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორზე არ შეიძლება რამე კრიტიკული შენიშვნაც კი დაგცდეს.

არავინ ეკითხება ელჩს, ვის დანიშნავს საქართველო სახალხო დამცველად და რა პროცედურებით იქნება არჩეული. ეს არის საქართველოს შიდა სუვერენული საქმე, ისევე როგორც არავის საქმე არ არის როგორ მოსამართლეებს ავირჩევთ. კი, ბატონო შეიძლება საუკეთესო კანდიდატები არ იყვნენ, მაგრამ ეს არაა საელჩოს საქმე, რომ მოსთხოვონ ქვეყანას შეაჩეროს მოსამართლეების დანიშვნა და ა.შ. როდესაც შენ ამაზე საუბრობ ხმამაღლა, ამით ამბობ, რომ პარტნიორული ურთიერთობები უნდა ემყარებოდეს თანასწორუფლებიანობის და ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინების პრინციპს, რომ ზედმეტად არ მოხდეს ქვეყნის სუვერენულ საქმეებში ჩარევა“, — აღნიშნა For.ge-სთან საუბრისას **ზაალ ანჯაფარიძემ.**

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** შეფასებით, მთელს ამ პროცესში ხელისუფლების პოზიციამ პირველად ნახა დღის სინათლე. თუმცა, აქ მნიშვნელოვანია მთავრობის მეთაურის განცხადება, რომელსაც თავის მონოლოგში არ უთქვამს, კელი დეგნანი მართალი იყო და მთელი ეს კამპანია ტყუილიო.

„მან თქვა, რომ შევწყვიტოთ ეს კამპანიაო. ასე რომ, პრემიერმა კი არ გაამართლა ერთი ან მეორე მხარე, არამედ როგორც თქვენ აღნიშნეთ — დახურულად გამოაცხადა ნადირობის სეზონი და ეს ტოვებს იმის საფუძველს, რომ თუ რაიმე შეიცვლება, შეიძლება ნადირობის სეზონი ხელახლა გაიხსნას. არ არის გამორიცხული, რომ თვითონ ამერიკული მხარის ინიციატივა იყოს შეჩერდეს ეს პროცესი.

ყველასთვის ცხადია, რომ ბრძოლის ის ფორმა, რაც გამოცხადებული იყო აშშ-ის ელჩის წინააღმდეგ, არ იყო დეგნანთან ბრძოლა, რადგან, თვითონ დეგნანი არ არის დამოუკიდებელი ფიგურა.

„როგორც ჩანს, აქ იგულისხმებოდა ამერიკის გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების პოლიტიკური ინტერესები და ზეგავლენა, რაც დეგნანის ამ მოძრაობაში გამოიხატა. ამიტომ, ამერიკისთვის უხერხულია საქართველომ წამოწიოს ის საკითხები, რომელშიც თავად ამერიკის ხარვეზებზე, ან ნაბიჯებზე იქნება მითითება. თუ ოპოზიციას მიაჩნია, რომ დემოკრატიის პირობებში ქვეყნის ზომას და კუნთებს არ აქვს მნიშვნელობა და მხოლოდ სამართლიანობას აქვს მნიშვნელობა, მაშინ უნდა მიაჩნდეთ ისიც, რომ ამერიკა ამოვა სამართლიანობის პრინციპიდან და არა იმის პრინციპიდან, რომ მას უფრო მეტი კუნთები აქვს, ვიდრე საქართველოს“, — განაცხადა **რამაზ საყვარელიძემ.**

ანალიტიკოსი **დავით ძართველიშვილი** ამბობს, რომ პატარა საქართველომ თავისი საზოგადოების უმრავლესობის სახელით „გაბედა“ და ზესახელმწიფოს ელჩს დაუსვა ღიად კითხვები, ამით მოახდინა ჩვენი პატარა, მაგრამ ამაყი საზოგადოების პოზიციონირება როგორც პარტნიორი ქვეყნისა და არა როგორც კოლონიარული წარმონაქმნისა და სწორედ ეს ილუზია დაიმსხვრა და ამით მოხდა ძალიან კარგი რამ — ამერიკას პატარა საქართველომ თავისი საზოგადოების უმრავლესობის სახელით, მიმართა როგორც თანაბარუფლებიანმა პარტნიორმა და არა მონამ, არა მეორეხარისხოვანმა ვიღაცა მეკავშირემ.

„ეს იყო ყველაზე მთავარი, რაც საზოგადოებამ დაინახა. როგორც ჩანს, ასეთი მიდგომა და ასეთი სითამამე მოულოდნელი აღმოჩნდა ქალბატონი კელი დეგნანისთვის და ეს უხერხულობა ჩანდა კიდეც მის არადამაჯერებელ პასუხებში და არაადეკვატურ განცხადებებში. ყველამ დავინახეთ, რომ აი, ამ მიდგომამ რაღაცა დისონანსი შეიტანა ამ ქალბატონის დამოკიდებულებაში საქართველოსთან და მის უმრავლესობასთან.

რაც შეეხება ღარიბაშვილის განცხადებას, მე, პირადად დავინახე, რომ ამ ოთხეულის ეპისტოლარული ჟანრი აშშ-ის ელჩთან მიმართებაში, შეუმჩნეველი არ დარჩენილა ვაშინგტონისთვის, სადაც სწორად აღიქვეს არსებული შექმნილი ვითარება. ის ფსონი, რასაც ელჩი დებდა გაკოტრებული ლიდერის, პოლიტიკური პოტენციალისა და იდეის გარეშე დარჩენილ რაღაცა ადამიანთა ჯგუფზე, აი, ამ ფსონის დადებას შეიძლება გადაყოლოდა უფრო მნიშვნელოვანი რამ, რაც საქართველო-ამერიკის ურთიერთობებში იქნებოდა ფატალური.

ამიტომ, ვხედავ პირველ ნაბიჯს, რომელიც გააკეთა ამ სიგნალზე პასუხად აშშ-მა, მათ საქართველოში გამოუშვეს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ენტონი ბლინკენის მთავარი მრჩეველის სტატუსით ძალიან გამოცდილი დიპლომატი, რომელსაც უნდა მოეგვარებინა ამ რეგიონში არსებული ეს ორაზროვანი ვითარება, როგორც სომხეთ-აზერბაიჯანს შორის, ასევე საქართველოში. როგორც ჩანს, ამ ადამიანმა პირველი ნაბიჯები გადადგა, სწორი ინფორმაცია მიაწოდა ვაშინგტონს და არ გამოვრიცხავ, ვაშინგტონსა და თბილისს შორის განხორციელებულიყო კომუნიკაცია, რა დროსაც აბსოლუტური გაგება იქნება მიღწეული პოზიციებში და არ არის გამორიცხული, რომ გამოთქმულ იყო თხოვნა — ყველაფერი გასაგებია და იქნებ კელი დეგნანთან მიმართებაში ხისტი და კრიტიკული რიტორიკის გრადუსმა დაიწიოს და გავაგრძელოთ ურთიერთობა. ამიტომ, ამ რაკურსით დავინახე პრემიერის განცხადება“, —აღნიშნა **დავით ძართველიშვილმა.**

თამთა ქარჩავა

პარლამენტის საშემოდგომო სესია გაიხსნა

საქართველოს კონსტიტუციისა და პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, სექტემბრის პირველ სამშაბათს, საშემოდგომო სესიის პლენარული სხდომა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნით გაიხსნა. სხდომას 121 დეპუტატი ესწრებოდა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე დრო, დეპუტატების განცხადებებს დაეთმო.

მიმდინარე კვირა საკანონმდებლო ორგანოში საკმაოდ დატვირთულია. დეპუტატებმა ხუთი ინსტიტუტის ანგარიში უნდა მოისმინონ, მათ შორის: კომუნიკაციების კომისიის, კონკურენციის სააგენტოს, ეროვნული ბანკის, საზოგადოებრივი მაუწყებლის და გასული წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. საშემოდგომო სესიის პირველივე პლენარულ სხდომაზე განსახილველი ერთ-ერთი მთავარი თემა, პრეზიდენტის ვეტო იქნება. მმართველი გუნდი ვეტოს დასაძლევად ემზადება.

ირაკლი კობახიძე: ოპოზიციამ ხალხს თავი მოაბეზრა!

დიდი ხანია, „ნაცმოძრაობამ“ და რადიკალურმა ოპოზიციამ ხალხს მოაბეზრეს თავი, ახლა უკვე საკუთარ მხარდამჭერებსაც აბეზრებენ თავს, — ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა. როგორც ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, პოზიციების გამაგრებისთვის ცდილობენ, რადიკალური მესიჯებით გამოვიდნენ.

„დიდი ხანია, „ნაცმოძრაობამ“ და რადიკალურმა ოპოზიციამ ხალხს მოაბეზრეს თავი, ახლა უკვე საკუთარ მხარდამჭერებსაც აბეზრებენ თავს. ეს არის დღევანდელი მოცემულობა, არაფრის რესურსი არ აქვთ, არაფრის თავი არ აქვთ. იმისთვის, რომ შიგნით რაღაცნაირად სცადონ პოზიციების გამაგრება, ცდილობენ, რადიკალური მესიჯებით გამოვიდნენ. ამის უკან მეტი არაფერი არ დგას, რიხი რომ არა აქვთ, მათ განცხადებებში ძალიან კარგად ჩანს. ეს არის დღევანდელი მოცემულობა. იმედია, ამას აკვირდებიან ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები, რაღაც სახელმწიფო უსაფრთხოების კანონში რომ შეგვაქვს ცვლილება, ხანდახან იმაზე აკეთებენ ხოლმე კომენტარებს. როცა „ნაცმოძრაობის“ ფორმალური თავმჯდომარე რევოლუციას აანონსებს, მე მგონი, ამაზეც უნდა გაკეთდეს ხანდახან მაინც კომენტარი, ყოველ შემთხვევაში ჩვენი სურვილი ეს იქნებოდა. ვნახოთ, რამდენად გაკეთდება ისეთი კომენტარები ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან, რომელიც ხელს შეუწყობს პოლარიზაციის შემცირებას. მათი დუმილი ხელს შეუწყობს პოლარიზაციის გაღვივებას“, — განაცხადა კობახიძემ.

სალომე ზურაბიშვილი: ჩვენ არ გვინდა ტერიტორიების ომით შემოერთება, ჩვენ გვინდა ერთიანი საქართველო, რომელიც გაერთიანებული იქნება კოლექტიური გადაწყვეტილებით და ეს ჩვენი მტკიცე პოლიტიკაა

საქართველოს პრეზიდენტმა კონფერენციის „დიდება უკრაინას“ მონაწილეებს უმასპინძლა და სტუმრებს სიტყვით მიმართა

(პირველი გვერდიდან) **საბოლოო ჯამში, ეს არ აუმჯობესებს ჩვენს მმართველობას და ეს ისაა, რასაც ჩვენ, შესაძლოა, ძალიან გვიან ვიგებთ. ამ გამოცდილებებმა ჩვენს ხალხს შორის არსებული კავშირები უფრო გააძლიერა. ეს კავშირები ძალიან ძლიერია და მათზეა დაფუძნებული ეს ძლიერი სოლიდარობა, რომელსაც დღეს ვხედავთ თქვენი ქვეყნისთვის ამ ძალიან რთულ პერიოდში, რომელიც ქართველმა ხალხმა გამოხატა და კვლავ გამოხატავს. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენი ქვეყნების ისტორიის ამ ეტაპზე ცხადია, რომ უკრაინამ რუსული აგრესიის წინააღმდეგ წარმოებული ამ ძალზე მამაცი და მტკიცე ბრძოლით, ისტორიაში ახალი ფურცელი გადაშალა. შესაძლოა, ჯერ ყველას არ შეუძლია ამის დანახვა, მაგრამ ეს რეალობა სულ სხვაა.**

პარადოქსია, რომ 1921 წლის 25 თებერვალს მოხდა რუსეთის შემოჭრა თბილისში (აქ არ ვთვლი ძველ დროებს) და 2022 წლის 24 თებერვალს დასრულდა საუკუნოვანი საბჭოთა ოკუპაცია, დასრულდა ის საბჭოთა კავშირი, თუნდაც დღევანდელი რუსეთი და მსოფლიოს ზოგიერთი კუთხე ამას ჯერ ვერ იაზრებდეს“, – განაცხადა **სალომე ზურაბიშვილმა.**

მისივე თქმით, სინამდვილეში, უკრაინელი ხალხის ბრძოლამ უკვე სრულებით შეცვალა მსოფლიო გეოპოლიტიკა.

როგორც სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა, რუსეთი აღარ არის უძლეველი და როგორიც არ უნდა ყოფილიყო მისი უძლეველობის პრეტენზია, ის დასრულდა, როცა უფრო პატარა, მაგრამ ბევრად უფრო მტკიცე ერმა მსოფლიოს აჩვენა, რომ წინააღმდეგობის გაწევა შესაძლებელია, რომ ის არ ეთანხმება ოკუპაციას, არ ეთანხმება მის ტერიტორიებზე შეჭრას და ამ წინააღმდეგობამ აჩვენა, რომ მას შეუძლია უფრო ძლიერის, უფრო დიდის, უკეთ აღჭურვილის დაძლევა.

„რუსეთს მოუწია აღმოეჩინა, რომ მას არამხოლოდ არ შეუძლია, რომ ნატოს გაფართოებას შეეწინააღმდეგოს, არამედ ის ამ პროცესს, ნატოს გაფართოებას, ასაზრდოებს. ეს ისაა, რასაც შვედეთისა და ფინეთის შემთხვევებში ვხედავთ, რასაც ბევრი ჩვენგანი, თუნდაც ჩვენ სპეციალისტები და სტრატეგები ვიყოთ, არ ელოდა. რუსეთი ვერ ეწინააღმდეგება ევროკავშირის გაფართოებას. ამან გააჩინა და დააჩქარა ევროკავშირის გაფართოების ის პერსპექტივები, რაც მანამდე მოსალოდნელი არ იყო და რამაც შეუძლებელი გახადა ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის წინააღმდეგობა. ეს ის პროცესია, რომელიც კიდევ გაგრძელდება“, – განაცხადა **ზურაბიშვილმა.**

მისივე თქმით, რუსეთმა ისიც მოახერხა, რომ ცენტრალური აზიის ქვეყნები გამხდარიყვნენ უფრო თავდაჯერებულები და ნაკლებად მზად რუსეთისგან ყველაფრის მისაღებად.

„ამან, რა თქმა უნდა, გააძლიერა ის, რაც აქამდე არსებობდა, თუმცა უფრო ნათელი გახადა რუსეთის დღევანდელი იზოლაციის გამო, ამ რეგიონის ცენტრალური, გადამწყვეტი როლი. ეს ეკონომიკური იზოლაცია ერთ, ან ორ დღეს არ გაგრძელდება, თუნდაც რუსეთი, საქართველოს, ან ყირიმის წინა გამოცდილებიდან გამომდინარე ფიქრობდეს, რომ ეს ყველაფერი მალე ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნდება, ეს სიმართლეს აღარ შეესაბამება და ძალიან ნათელია, როცა ევროპული ინსტიტუტების ლიდერები და წევრი ქვეყნებიც მტკიცედ საუბრობენ. ასე რომ, ჩვენთვის, საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, შევაფასოთ ეს ცვლილებები გავიაზროთ და ვნახოთ, რომ ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ამ ცვალებად დროში – ერთობა და მათ მიმართ სოლიდარობაა, ვინც იგივე ღირებულებებს იზიარებს. ეს არის ის, რაც ჩვენ ვნახეთ, რასაც ახლა ვხედავთ: უფრო მჭიდრო კავშირები თვითონ ევროპელებს შორის, ევროპელებსა და აშშ-ს შორის. რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა ვიცნობდეთ ჩვენს მეგობრებს: ისინი, ვინც დასაწყისიდანვე მხარს უჭერდნენ ჩვენს გზას; ისინი, ვინც იმ რეფორმების გატარებაში დაგვეხმარნენ, რომლებსაც ახლაც ვაგრძელებთ; ისინი, ვინც იმ ინსტიტუტების განვითარებაში დაგვეხმარნენ, რომლებზეც ჩვენს თავს ახლა ვაფუძნებთ. რა თქმა უნდა, რუსეთი შეეცდება ამ რეალობას დაუპირისპირდეს. ეს ძალიან ძველი, საბჭოთა ფენომენია, რომელიც შავს თეთრად წარმოაჩენს და თეთრს შავად, ყალბი რეალობა და დეზინფორმაცია.

ვხედავთ ჩვენი დარწმუნების მცდელობებს და სხვადასხვა ახალი ამბების, ჭორების ან თუნდაც განცხადებების გავრცელების მცდელობებს, რომ საქართველო და უკრაინა შეიძლება არცთუ ისე მეგობრულები იყვნენ ერთმანეთის მიმართ. უნდობლობის დათესვა რუსეთის მოქმედების ერთ-ერთი საყვარელი გზაა. კიდევ ერთი დეზინფორმაციაა ის, რომ აშშ არაა საქართველოს მშვიდობის, დემოკრატიის, უსაფრთხოების მხარდამჭერი და ჩვენი დამხმარე თავდაცვის ამაღლებაში, არამედ პირიქით, ის ომისკენ გვიბიძგებს. ეს წარმოუდგენელი მანიპულაცია და დეზინფორმაციაა. მე არ ვამბობ, რომ ამას ზოგიერთი ქართველი არ იმეორებს, დეზინფორმაცია ასე მუშაობს – არსებობს რამდენიმე გამტარი, რისი გამოყენებაც შეიძლება. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან დესტრუქციულია, მე ვამბობ და ვფიქრობ, რომ ჩვენ ყველანი მკაფიო უნდა ვიყოთ. თქვენ არ გჭირდებათ თავის დაცვა, რადგან დღეს წარმოუდგენელია, ვინმემ თქვას, რომ აშშ, რომელსაც არასოდეს შეუხედავს საქართველოს ტერიტორიის არც ერთ სანტიმეტრისთვის, ომის გავრცელებას და მეორე ფრონტის გახსნას ცდილობს.

რუსეთი კი, რომელმაც ჩვენი გამოცდილებით, ჩვენი ტერიტორიები დაიკავა, და სხვადასხვა დროს, პრაქტიკულად ყველა მეზობელთან შეიჭრა, თითქოს არაფერზე არაა პასუხისმგებელი. ასე რომ, მეორე ფრონტის ამ იდეას კატეგორიულად უნდა დავუპირისპირდეთ. ეს დეზინფორმაცია ძალიან დესტრუქციულია, რადგან მიმართულია ოკუპირებულ ტერიტორიების, იქ მცხოვრები ჩვენი მოქალაქეებისა და მათი დე ფაქტო ხელისუფლებისაკენ, ეს არის მცდელობა იქ გარკვეული შიში გავრცელდეს იმის შესახებ, თუ რას შეიძლება აკეთებდეს საქართველო, მაშინ, როცა ჩვენი პოლიტიკა ამ ტერიტორიების მიმართ ძალიან მკაფიოა – ისინი ჩვენია, ისინი ჩვენი მოქალაქეები არიან და რაც ჩვენ გვსურს, ამ მოქალაქეების კვლავ გაერთიანებაა.

ჩვენ არ გვინდა ტერიტორიების ომით შეერთება, ჩვენ გვინდა ერთიანი საქართველო, რომელიც გაერთიანებული იქნება კოლექტიური გადაწყვეტილებით, და ეს ჩვენი მტკიცე პოლიტიკაა. იგივეა ევროკავშირთან მიმართებაშიც. დაყოფის ეს მცდელობები ასევე ფოკუსირებულია ევროკავშირზე და ქვეტონია, რომ ევროკავშირის რეფორმები გამიზნულია არა ძლიერი და უფრო დემოკრატიული საქართველოს შექმნის, განვითარებისა და დახმარებისათვის, არამედ, მათი გამოყენება შესაძლებელია საქართველოსა და მისი მთავრობის დესტაბილიზაციისთვის. ძალიან ნათელია საიდან იღებს ეს სათავეს. ეს კიდევ ერთი კარგი მაგალითია, რომ როცა რუსეთი სამხედრო აგრესიით პირდაპირ არ ოპერირებს, მაშინ ის დეზინფორმაციის მეშვეობით მოქმედებს. ეს ყველამ უნდა იცოდეს, რადგან, სხვადასხვა სახით რუსული დეზინფორმაცია ასევე, თავს იჩენს ევროკავშირის სხვადასხვა ნაწილში, ჩვენ ვნახეთ გარკვეული გამოვლინებები თუ, როგორი გავლენა შეიძლება იქონიოს ამ დეზინფორმაციამ სხვადასხვა ქვეყნის შიდა სტაბილურობასა და შიდა პოლიტიკაზე.

დიდი განსხვავება ევროკავშირის ზოგ ქვეყანასა და ჩვენს შორის ისაა, რომ ჩვენ ევროკავშირის გარეთ ვართ, ისინი კი შიგნით, დაცული ხარ, ჩვენ არ ვართ დაცულნი და ჩვენ ჩვენი თავი უნდა დავიცვათ, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და ცენტრალური პრიორიტეტია. ასე რომ, ამ ყველაფრის ძალიან მკაფიო გაკვეთილი არის მხოლოდ ამის მუდმივად გამეორება ჩვენს მოქალაქეებთან ერთად, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზას ალტერნატივა არ აქვს. ჩვენ მათ უნდა დავუჭიროთ მხარი დეზინფორმაციის იმ ძალიან დესტრუქციული ასპექტის წინააღმდეგ, რომელიც ამბობს, რომ ქვეყანაში პერსპექტივა არ არსებობს. ამას ჩვენ, განსაკუთრებით, ახალგაზრდებში ვხედავთ, რომლებსაც ქვეყნის დატოვება და ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში წასვლა სურთ. ძალიან შავ-თეთრი იქნებოდა იმის თქმა, რომ პერსპექტივის ნაკლებობა მხოლოდ რუსული დეზინფორმაციაა.

რა თქმა უნდა, არის ეკონომიკური და სოციალური პრობლემები და ის, რომ ქვეყანაში საკმარის დინამიკას ვერ ხედავენ. ამიტომ უნდა დავაჩქაროთ რეფორმები, ამიტომ უნდა დავაჩქაროთ ქვეყნის ეკონომიკური დინამიკა, ამიტომ მეტი უნდა გავაკეთოთ დეპოლარიზაციის კუთხით, რადგან თუ არის რაიმე, რაც ახალგაზრდებს ქვეყნის გარეთ გასვლისკენ უბიძგებს, ეს ქვეყნის შიგნით არსებული ამ გაუთავებელი პოლარიზაციის ხილვაა, რომელიც არ აჩვენებს რაიმე რეალურ არსს – საით მივდივართ და არ მოაქვს ის ოპტიმიზმი, რომელიც კეთების, შენებისა და ამ გზის გაგრძელებისთვის ახალი ენთუზიაზმის შესაქმნელადაა საჭირო. ასე რომ, ვიტყოდი, ჩვენ ჩვენს ახალგაზრდებში ეს ევროპული პერსპექტივა უნდა გავაღვივოთ. ეს ძალიან ნათლად არის წარმოდგენილი.

არავინ უნდა იყოს პესიმისტურად განწყობილი, თუმცა ჩვენ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. ეს ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. საქართველოს მოსახლეობამ აჩვენა სად დგას, სად დგას უკრაინასთან მიმართებით, ევროპასთან მიმართებით და ჩვენ, ვინც ქვეყნის სათავეში ვართ, იქნება ეს მმართველი გუნდი, თუ ოპოზიცია, თუ ინსტიტუციური ლიდერები, ყველანი პასუხისმგებლები ვართ და ყველას მოგვიწევს პასუხის გაცემა მომავალი თაობისათვის თუ როგორ ვიმოქმედეთ ამ ძალიან საინტერესო დროს, როდესაც უეცრად ისტორიამ და უკრაინამ ახალი პერსპექტივა შემოგვთავაზა, შემოგვთავაზა ახალი მომავალი ისე, რომ იმ დროს ჩვენ თითქმის არაფრის გაკეთება მოგვიწია ამისთვის და ვიქნებით კი ამისთვის მზად. ჩემი ვარაუდით, ჩვენ მზად ვიქნებით და ხვალ ერთად ვიქნებით ევროკავშირში“, – განაცხადა **სალომე ზურაბიშვილმა.**

კელი დეგნანი: აშშ მხარს უჭერს არა რომელიმე პარტიას, არამედ საქართველოს მოსახლეობას!

უკრაინაში **არსებულ ვითარებაზე ქართული კონტექსტით საუბარი მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც. მნიშვნელოვანია, საქართველომ დაინახოს, რომ საქართველოს მეგობრები, საერთაშორისო საზოგადოება სწავლობენ პრობლემას და ცდილობენ კრიზისის დასასრულებლად გზების გამოძებნას,** – ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩმა, კელი დეგნანმა თბილისის საერთაშორისო კონფერენციაზე „დიდება უკრაინას“ გამოსვლისას განაცხადა. ელჩის თქმით, წლების განმავლობაში აშშ მხარს უჭერს არა რომელიმე პოლიტიკურ პარტიას, არამედ საქართველოს მოსახლეობას, რომ შეძლოს ჰქონდეს სტაბილური, წარმატებული დემოკრატია.

„უკრაინის კონფლიქტი საფრთხეს უქმნის ჩვენს ცხოვრებას და ამ ჩარჩოში არ არის მხოლოდ უკრაინა ან მოლდოვა, არამედ მთელი რეგიონი და საქართველო ამის ნაწილია. საქმე ეხება რუსული იმპერიალიზმის აღზევებას. უკრაინაში არსებულ ვითარებაზე ქართული კონტექსტით საუბარი მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც. მნიშვნელოვანია საქართველომ დაინახოს, რომ საქართველოს მეგობრები, საერთაშორისო საზოგადოება სწავლობენ პრობლემას და ცდილობენ კრიზისის დასასრულებლად გზების გამოძებნას. საქართველომ ეს უკვე გაიარა და პრობლემის გადაწყვეტის ნაწილია. წლების განმავლობაში აშშ მხარს უჭერს არა რომელიმე პოლიტიკურ პარტიას, არამედ საქართველოს მოსახლეობას, რომ შეძლოს ჰქონდეს სტაბილური, წარმატებული დემოკრატია. ეს არის საქართველოში აშშ-ის უმთავრესი ინტერესი. არის ბევრი გამოწვევა და რთული გადასვლა ბევრი მიმართულებით, მაგრამ გამოწვევების პარალელურად, მსურს, დავინახო ის, რაც სწორად კეთდება ამ ქვეყანაში, რადგან ზოგჯერ ჩვენ ვკარგავთ ხედვას ამ მიმართულებით, როდესაც ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ ისეთ საკითხებზე, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს დემოკრატიული მომავლისთვის, საქართველოს ევროპული მომავლისთვის. უნდა დავეხმაროთ ამ ქვეყანას სტაბილურობის და წარმატების მშენებლობაში, მის დემოკრატიულ სტრუქტურებს. ყველას მოგიწოდებთ, გახვიდეთ თბილისიდან და შეხვდეთ მოსახლეობას მის გარეთ, სადაც უფრო დაუცველები არიან დეზინფორმაციის, სიღარიბის, უმუშევრობის, მაღალი ფასების, ზოგჯერ ცუდი განათლების და ინფრასტრუქტურის კუთხით. საქართველოსთვის არ არსებობს მოკლე გზა ევროკავშირში ინტეგრაციისთვის, ისევე როგორც ეს იყო ბალტიისპირეთის ქვეყნების შემთხვევაში. ჩვენ უნდა ვიყოთ საქართველოს და ქართველი ხალხის გვერდით და უნდა ვისაუბროთ, რაც სწორად კეთდება და ასევე გამოწვევებზე“, – განაცხადა დეგნანმა. საქართველოში აშშ-ის ელჩის, კელის დეგნანის განცხადებით, აუცილებელია, საერთაშორისო საზოგადოებამ განაგრძოს საქართველოს მხარდაჭერა.

გვარის სიყვარული დიდი ღირსებაა!

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, თითოეული გვარის ისტორია საქართველოს ისტორიის ნაწილია. მისი საშუალებით არა მხოლოდ ამა თუ იმ გვარის ისტორიას ვეცნობით, არამედ საქართველოს სოციალური ყოფის მთელ რიგ საკითხებსაც ვარკვევთ. სამწუხაროდ, საქართველოში არსებული 25 ათასამდე ქართულ გვარს შორის დღემდე მხოლოდ 1200-მდე გვარია შესწავლილი. მეტის გამომზიურება-შესწავლა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა, რაც ჩვენი გედკრული ისტორიის შედეგია.

უამრავი გვარის ისტორია აღარც არქივებშია და არც გვარის წარმომადგენლებს ახსოვთ. საისტორიო წყაროები საფუძვლიანადაა შესასწავლი. ამიტომაცაა რომ სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი (**თავმჯდომარე ირაკლი გრიგვაძე**) განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გვარების და გვარიშვილთა დაინტერესებას საკუთარი ისტორიის შესწავლის საქმეში.

თეიმურაზ ლაბაძე

მადლობას იმსახურებენ ქართველი ისტორიკოსები, რომლებიც საფუძვლიანად იკვლევენ ქართული გვარების ისტორიას, საშვილიშვილო საქმეს აკეთებს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რომელმაც გამოსცა პირთა ანოტირებული ლექსიკონის ხუთტომეული, რომელშიც ყველა ანთროპონიმია, შესული, რაც კი IX-XVII საუკუნეების ქართულ დოკუმენტებშია მოხსენიებული.

ქართული გვარების პოპულარიზაციას და მოვლა-მოფრთხილებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საქართველოს საპატრიარქო და პირადად ჩვენი დიდი პატრიარქი ილია მეორე. მისი ლოცვა-კურთხევით მრავალი ქართული გვარი დაილოცა და მომავალშიც ბევრი დაილოცება.

დღეს გვინდა ლაბაძეების და მამალაძეების საგვარეულო ორგანიზაციების წინამძღოლებს ბატონ **თეიმურაზ ლაბაძეს** და **გაიოზ მამალაძეს** შეგახვედროთ, რომლებიც მოგვითხრობენ გვარში განხორციელებულ ღონისძიებებზე, და ზოგადად საგვარეულო მოძრაობაში არსებულ პრობლემებზე.

თეიმურაზ ლაბაძე – პროფესიით ზოოტექნიკოსია, დამთავრებული აქვს მოსკოვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა, არის 4 სამეცნიერო ნაშრომის და ერთი მონოგრაფიის ავტორი.

ლაბაძეების გვარის წინამძღოლად არჩეულია 2011 წლიდან.

აი რა გვითხრა ბატონმა თეიმურაზმა თავისი გვარის ისტორიის შესახებ:

– საქართველოში არსებულ ქართულ გვარებს შორის ლაბაძეები სიმრავლით 90-ე ადგილზეა და მხოლოდ 5 ათასამდე ლაბაძე ცხოვრობს ცისქვეშეთში.

პატრიარქის დალოცვილ გვარებს შორის ლაბაძეების გვარიცაა, რომელთა წინაპრის გვარ-სახელი სვიმონ ლაბაძე XII საუკუნის კაცხის ტაძრის კედლის წარწერაშია დღემდე შემონახული.

ლაბაძეების გვარის წარმოშობა ხარის კულტთანაა დაკავშირებული. ლაბას ძველქართულში თეთრშუბლა ხარს უწოდებდნენ. ხარის კულტის თავდაპირველი კერა კავკასიაში და წინა აზიაში იყო წარმოდგენილი.

ლაბაძეები იმერული გვარებიდან მომდინარეობს. იმერეთში – 1760, ქვემოთ ქართლში – 1478, ქართლში – 643, აჭარაში – 390, მესხეთში – 185, კახეთში – 158, სამეგრელოში – 11.

ლაბაძეები ცხოვრობენ ამერიკაში, ბელარუსში, ბალტიისპირეთში, ინგლისში, იტალიაში, კვიპროსზე, ნორვეგიაში, ნიდერლანდებში, საბერძნეთში, საფრანგეთში, რუსეთში და სხვაგანაც.

2011 წლის 20 თებერვალს თბილისში, სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში დაფუძნდა ლაბაძეთა საგვარეულო კავშირი, აირჩიეს გამგეობის ახალი შემადგენლობა და განსაზღვრეს გვარის წინაშე არსებული ამოცანები.გადაწყდა შეესწავლათ გვარის წარმომავლობა და ადგილის დედის განსახლება.ეზრუნათ სალოცავების და ეკლესიების მოვლა-პატრონობისთვის, საგვარეულო ხატის დაწერა და დროშის შექმნა, გვარის წარჩინებული პიროვნებების დადგენა, გვარის ისტორიაზე წიგნის გამოცემა და სხვა. გვარის დარბაზი გატარდა საჯარო რეესტრში.

გვარის წარმომადგენელთა უკეთ გაცნობის მიზნით ჭიათურის ზონის სოფელ ნიგოზეთში მცხოვრებ ლაბაძეებს გადავეცით სამაგიდო დროშები და სამკერდე ნიშნები, ასეთივე გვარის ატრიბუტები გადავეცით ახალციხელ, ზესტაფონელ, საჩხერელ და ლაგოდეხელ ლაბაძეებს.

ლაბაძეების საგვარეულო დარბაზის აქტიური მუშაობით 2007-2015 წლებში რამდენიმე ეკლესია-მონასტერს ჩაუტარდა რესტავრაცია და აღდგენა-გამაგრების სამუშაოები. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდველში ზურაბ ლაბაძის თაოსნობით აშენდა წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია.

2010 წელს საჩხერის რაიონის სოფელ სარეკში ლაბაძეების და ბიზნესმენ ნუკრი გაფრინდაშვილის მიერ განახლდა შობის სახელობის ეკლესია, ხოლო სოფელ ქორეთში სამების ეკლესიას მოშენება-აღდგენა ჩაუტარდა.

2011 წელს სურამთან ახლოს სოფელ კაკალათხევში ნარვანის სამების სახელობის ეკლესია განახლდა სასულიერო პირის გიორგი ცქიფურიშვილის და ავთანდილ ლაბაძის ოჯახის მიერ, იმავე წელს ჭიათურის სოფელ ნიგოზეთში ლაბაძეების აქტიური მონაწილეობით განახლდა ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

2015 წელს ოზურგეთის რაიონის სოფელ თხილვანში აშენდა წმინდა პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესია, მის მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ლაბაძეები.

აღსანიშნავია ისიც, რომ ლაბაძეები ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ერთგული მსახურნი არიან. გვარში მრავალრიცხოვანი სასულიერო პირია, რომლებიც მტკიცე რწმენით და თავდადებით ემსახურებიან დედა-ეკლესიას და მრევლს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მღვდელი იოანე ლაბაძე, რომელიც 1792 წელს დაიბადა იმერეთში და მთელი სიცოცხლე უფლის საღიდებელ წირვა-ლოცვას კეთილსინდისიერად აღავლენდა. ასევე აღსანიშნავია მღვდლების იასონ, სვიმონ, იოანე, ვასილ, იესე, ტრიფონ, სილიბისტრო ლაბაძეების ღვაწლი, რომლებიც წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურნენ მართლმადიდებლურ მოძღვრებას და მრევლს.

გაიოზ მამალაძე

2011 წლის 12 ნოემბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აკურთხა და დალოცა ლაბაძეების გვარი. წმინდა გიორგის ხატი დღესაც მოსალოცად დაბრძანდება ლაბაძეების ოჯახებში.

ლაბაძეების გვარში არაერთი სახელოვანი პიროვნება აღიზარდა, რომლებმაც ნამდვილად ასახელეს მშობლიური საქართველო, გვარი და სახლიკაცები. ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ რამდენიმე ღირსეული ლაბაძის ჩამოთვლა მიზანშეწონილად მიმაჩნია.

ვანო ლაბაძე – 1914 წელს რუსეთ-თურქეთის ომის აქტიური მონაწილე, ლეგიონის მეთაური დამოუკიდებელი საქართველოს სასაზღვრო ჯარების ერთ-ერთი ნაწილის უფროსი იყო.

ნესტორ ლაბაძე ერთ-ერთი პირველი ქართველი გენერალია, სამამულო ომის აქტიური მონაწილე, რესპუბლიკის სასაზღვრო ჯარების უფროსი; **ზურაბ ლაბაძე** – შორეული ნაოსნობის კაპიტანი გახლდათ; **ოთარ ლაბაძე** ენციკლოპედიის რედაქტორი; **გივი ლაბაძე** – ცნობილი მსახიობია; **ალექსანდრე ლაბაძე** – საშუალო სკოლის დირექტორი. **გიორგი ლაბაძე** – ცნობილი მწერალი; **ჯემალ ლაბაძე** – ჭიათურმარგანეცის დირექტორი; **გიორგი ლაბაძე** – ამერიკათმცოდნეა; **გია ლაბაძე** – ცნობილი რაგბისტი, ევროპის თასის მფლობელი; **ირაკლი ლაბაძე** ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელია და ა.შ.

ლაბაძეების დარბაზის გამგეობას დაწესებული აქვს საპატიო სიგელები მრავალშვილიანი ოჯახისათვის, შეძლებისდაგვარად ცდილობენ დახმარება აღმოუჩინონ შეჭირვებულ გვარიშვილებს. ამ მხრივ მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება.

* * *

ახლა კი გვესაუბრება გაიოზ მამალაძე – პუბლიცისტი, ისტორიკოსი, სამეფო კლუბის სპიკერი.

პირველ რიგში მადლობა მოწვევისათვის. მივესალმები თქვენი გაზეთის მკითხველს.

როგორც მონარქისტმა და მკვლევარმა, აუცილებლად მინდა ვთქვა, რომ ყველა ქართული გვარი კეთილშობილია, ყველა ქართულ გვარს ჰყავდა გმირი და დამსახურებული წინაპრები, ზოგის სახელი ცნობილია, უდიდესი უმრავლესობისა არა, რომლებიც ებრძოდნენ მტრებს, რომლებსაც გამოჰყავდათ 500-ზე მეტი ვაზის ჯიში, აგებდნენ სვეტიცხოველს, ემსახურებოდნენ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას, საზეპურო ანუ რჩეულ ქართველ ერს.

ვფიქრობ, საგვარეულო მოძრაობას უნდა ეხმარებოდეს მთავრობა, უნდა გამოიყოს გარკვეული თანხები, გვარების დღესასწაულების ჩასატარებლად, საგვარეულო ისტორიების შესასწავლად და გამოსაქვეყნებლად, გვარების ჰაფლოჯგუფების დასადგენად. ეს დიდი ეროვნული საქმე იქნება, ერის შეკავშირების ერთ-ერთი საშუალება. ერთი წერილი მაქვს გამოქვეყნებული, რომელსაც ჰ ქვია „ეროვნული იდეოლოგიის ჰორიზონტალური და ვერტიკალური პოსტულატები“ . სადაც განხილულია ილია ჭავჭავაძის სამი ეროვნული პოსტულატის მნიშვნელობა – **მამული, ენა, სარწმუნოება,** რომელსაც ჩვენს დროში უნდა დავამატოთ – **ერი, გვარი და ოჯახი.**

თუ აღრე მამულის, ენისა და სარწმუნოების შენარჩუნება იყო უმთავრესი ამოცანა, თანამედროვე სამყაროში ერისა და სახელმწიფოს განსამტკიცებლად აუცილებელია ოჯახების, გვარების (სანათესაოს) შეკავშირება-განმტკიცება.

საერთოდ, საგვარეულო კავშირების შექმნა, მათი დალოცვა ამუშავება არის ძალიან დიდი ეროვნული საქმე, ამისთვის მადლობას ვუხდი საგვარეულო მოძრაობას მთლიანად და საქართველოს ეკლესიას. საგვარეულო მოძრაობა ეს არის ეროვნული მოძრაობის ნაწილი, თუმცა, პოლიტიკის გარეშე.

ჩემი გვარის, მამალაძეების შესახებ სამეფო კლუბის საიტზე www.georoyal.ge გამოქვეყნებული მაქვს წერილი: – „მამალაძეთა გვარის წარმოშობის ორი ვერსია, ცნობა სოფელ ხევის ძველ სახელწოდებაზე, რამდენიმე გადმოცემა ბუღარა მამალაძეზე და სხვა მამალაძეებზე“. მინდა განვაცხადო, რომ ამ საკითხებზე მუშაობის გაგრძელებას კვლავ ვაპირებ.

გვარი დაილოცა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, 8 თებერვალს, სამების ტაძარში, 2015 წელს.

წლების აღწერიდან დაახლოებით 1800 მამალაძე ცხოვრობდა საქართველოში. ღმერთმა ყველა ქართული გვარი ამრავლოს. მამალაძეების დიდი ნაწილი ცხოვრობს თბილისში, სხვა ქალაქებში, ბევრი ცხოვრობს გურიაში, სოფელ ხევში და ასევე აჭარაში, თურქეთშიც.

ჰაფლოჯგუფი G2 რომელიც ჯერჯერობით ჩანს მამალაძეთა შორის, რადგან სხვადასხვა შტოები არ გატესტილა... არადა, აუცილებელია სხვადასხვა შტოების გატესტვა და ღრმა კვლევა. ეს ყველა გვარისთვის საჭიროა, ერთიანი ეროვნული მონაცემებისთვის, მეცნიერებისთვის.

იხ. 7 გვ.

ფეხებზე დაკიდების არანატიფი ხელო(ვნე)ბა

ანუ ბოლი ფრანკლინში

ეს, რას გვეუბნება ფრანკლინის აკადემიაში სტუმრად მიწვეული პატივცემული ლექტორი, როცა ევროპის კონსტიტუციის გარჩევის შემდეგ კვლავ უბრუნდება 1945 წლის გერმანიას:

> ***„გამოხდა ხანი და კიდევ ერთი ევროპული ღირებულება დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ. როგორც მე გითხარით, 45 წელს გერმანია ნანგრევებში იყო და დამნაშავე ამაში იყო, ნუ, მთელი მსოფლიო, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ იმათ დაანგრიეს. ძირითადად დაანგრიეს ამერიკელებმა, ინგლისელებმა და რუსებმა. და ფრანგები ამბობდნენ, ჩვენც დავანგრიეთო“.***
>
> **მეორე მსოფლიო ომის შეფასებაც ასეთი უნდა! თითქოს გერმანია მსხვერპლია, ხოლო მის დანგრევაში მთელი მსოფლიო ყოფილა დამნაშავე, განსაკუთრებით და კერძოდ კი – ამერიკელები, ინგლისელები და რუსები. ფრანგებიც იბრალებენ თურმე ამ საქმეს.**

როგორც არ უნდა გავიგოთ ნათქვამი, ეს შეფასებითი მომენტია და შეფასებების შეფასებას მე არ ვაპირებ. ზოგიერთი შეფასება ხშირად შემფასებელზე უფრო მეტს ამბობს, ვიდრე შეფასებულსა თუ შესაფასებელზე. რაგინდ არ ვეთანხმებოდე მავანი ლექტორისა თუ ინტელექტუალის როყიო, სუბიექტურ, ეპატაჟურ ან თუნდაც პროვოკაციულ მოსაზრებებს, როგორც არ უნდა ჩათვალოს ვინმემ, რომ რომელიმე გირჩი ერეკლეზე მეტი პატრიოტია ან ვთქვათ, ვინმე ვერაფერიშვილი რუსთაველზე აღმატებულია, მე მის პოზიციების თუ არგუმენტების საკრიტიკოდ ვერ მოვცდები. მაგრამ თუ ვინმე დაგვაბოლებს და გვეტყვის, რომ იგივე ერეკლე, ვთქვათ, მშიშარა იყო ან რომ იმავე რუსთაველმა ბოლონიის უნივერსიტეტი დამთავრა, ცხადია, გარკვეული პასუხისმგებლობის მქონე ადამიანმა უნდა გამოძებნო დრო და თუ თავად იმ მთქმელს ვერაფერს შეასმენ, მის მსმენელებს მაინც უნდა გააგებინო, რას უსმენენ, რათა მომავალში მაინც აღარ მოუსმინონ. მით უმეტეს, თუ მსგავსი უკუღმართობები რომელიმე კონკრეტული აკადემიის რომელიმე დახურულ აუდიტორიას გასცდება და საყოველთაოდ გამოიფინება რომელიმე უფრო ფართო სივრცეში, ვთქვათ, იმავე იუტუბზე.

მართლა მიკვირს და გამკვირვებია: რანაირად უნდა მოახერხო რაგინდ გამოუცდელმა თუ ცუდ გუნებაზე მყოფმა და მით უმეტეს – აღიარებულმა ლექტორმა, რომ ეს ამდენი, რბილად რომ ვთქვა, უზუსტობა სულ რაღაც ათიოდე წუთში ჩატიო?! ამ 10-წუთიანი ეპიზოდის ყველა პასაჟი, ყველა ეპიზოდი ისეთი შეცდომებით არის სავსე, სკოლის არც ერთ მოსწავლეს რომ არ აპატიებს არც ერთი მასწავლებელი, თუ იმ მასწავლებლისთვის მთავარი და უმთავრესი მართლა მოსწავლის სიყვარულია. არადა, ჯერ სწორედაც მხოლოდ 10 წუთია გასული ლექციის პირველი ფრაზიდან „ახალგაზრდები მიყვარსო“, ხოლო აღიარებული და პოპულარული ლექტორი ძველ წვრილმან-მსხვილმანს არ სჯერდება და აუდიტორიას ახალ ბოლში ხვევს. რა სიგარა, რის სიგარა, ბორჯომის ტყეების ხანძრისას არ ყოფილა ამდენი ბოლი და კვამლი!

კი, ვიმეორებ, ზეპირი ლექციისას ყველას მოსდის რაღაც შეცდომა, ან ვისმეს სახელი ავიწყდება, ან რომელიმე თარიღი აერევა, მაგრამ უზუსტობებისა და შეცდომების ასეთი ტოტალური კორიანტელი სხვა არ მახსენდება.

> და ამ ფონზეც კი, ერთ მომცრო ფრაზაში კონცენტრირებული შეცდომების რაოდენობით, გერმანიის კაპიტულაციის ამბების ფრანკლინის ლექტორისეული გადმოცემა უდავოდ იმსახურებს გამორჩეულ ადგილს გინესის რეკორდების წიგნში, როგორც უცოდინარობისა თუ დაუდევრობის, როგორც აუდიტორიის ფეხებზე დაკიდების უნიკალური ნიმუში:
>
> ***„ფრანგებზე პირდაპირ მინდა გითხრათ, რომ როდესაც კალტენბრუნერს და დენიცს უნდა მოეწერათ ხელი კაპიტულაციისათვის, მათ დაინახეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მომავალი პრეზიდენტი, გენერალი ეიზენჰაუერი აწერს ხელს, – გასაგებია. საბჭოთა კავშირიდან გენერალი ჟუკოვი აწერს ხელს, – გასაგებია, ინგლისიდან ინგლისის პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა დიდმა გენერალმა მაკატუ (ჰარგად არ ისმის, ალბათ მაპარტურის თქმა უნდოდა – ბ.ნ.) მოაწერა ხელი – გასაგებია, მაგრამ როდესაც გენერალმა დე გოლმაც დააპირა ხელის მოწერა, კალტენბრუნერმა, წაგებულმა კაცმა, განადგურებულმა კაცმა, რომელიც ყველაზე საშინელ დოკუმენტს აწერს ხელს ცხოვრებაში, მოახერხა და ამ საშინელ მომენტში იხუმრა. და თქვა, ამათთანაც წავაგეთ ომიო? და ფრანგებს ეწყინათ. ყველას დანარჩენს გაეღიმა მაინც, იმიტომ, რომ დიახ, გერმანიას საფრანგეთთან მეორე მსოფლიო ომი ნამდვილად არ წაუგია.“***

გასაგებია-გასაგებია-გასაგებიაო, – კი გვეუბნებიან, მაგრამ აქ სიტყვა „გაუგებარია“ უფრო ზუსტი იქნებოდა, თანაც მხოლოდ სამჯერ კი არა, თუნდაც ათჯერ გამეორებული. ხოლო ოთხწლიანი სხვაობა ადენაუერის ამბავში აქ სულაც ლაფსუსლინგვად მოჩანს.

ჯერ ერთი, არ არის გამორიცხული, რომ კაპიტულაციის ამბების რომელიმე ფრანკლინელმა მსმენელმა, ვისაც მოვლენებზე საკუთარი აზრიც შეიძლება ჰქონდეს, გაიფიქროს, რომ დიახაც! – გერმანიამ საფრანგეთთანაც წააგო ის ომი და ყველა სხვა ქვეყანასთანაც, რომლისთვისაც მიუღებელი იყო გერმანული ნაციზმი და აგრესია. იმადაც იყო მსოფლიო ომი. მაგრამ ესეც შეფასების სფერო უფროა, ხოლო ფაქტებს რაც შეეხება, ვინძლო კაპიტულაციის პასაჟი ლექციას კიდეც მოუხდებოდა, ლექტორს გვარების დასახელების გარეშე, უბრალოდ ანეკდოტივით რომ მოეყოლა ეს ამბები. ვთქვათ, ასე – როცა საბჭოელებთან, ამერიკელებთან და ბრიტანელებთან ერთად კაპიტულაციის აქტს ფრანგებმაც მოაწერეს ხელი, რომელიღაც გერმანელმა ასე მწარედ იხუმრა... მაგრამ არა, მან ისე კატეგორიულად ჩამოთვალა კაპიტულაციის აქტის მონაწილენი, მსმენელებს ძნელად თუ გაუჩნდებოდათ ეჭვი, რომ მისი ნათქვამი ძაააააალიან იყო დაშორებული რეალურ ისტორიას.

და როგორია მისი სიტყვით, ფაქტები და გვარები და სახელები?

რაკი ფაქტებზე, გვარებსა და სახელებზე გადავდივართ, იგულისხმება, რომ ყურადღებას არ ვამახვილებთ ამ სარეკორდო ფრაზაში მოვლენათა თანმიმდევრობის აღრევაზე: კაპიტულაციას, როგორც წესი, ჯერ დამარცხებულები აწერენ ხელს და მერე სხვები. ასე რომ, კალტენბრუნერი და დენიცი სანამ თავად არ მოაწერდნენ ხელს, ვერ დაინახავდნენ, როგორ მოაწერეს ხელი კაპიტულაციის აქტს ეიზენჰაუერმა, ჟუკოვმა და „მაკატუმ“, ან როგორ ემზადებოდა ხელმოსაწერად დე გოლი...

მაშ ასე, გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციას, აღიარებული და პოპულარული ლექტორის ცოდნით, ხელს აწერენ:

გერმანიის სახელით – კალტენბრუნერი და დენიცი.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელით – ამერიკის მომავალი პრეზიდენტი, გენერალი ეიზენჰაუერი.

დიდი ბრიტანეთის სახელით – „დიდი გენერალი მაკატუ“.

რუსეთის სახელით – გენერალი ჟუკოვი.

საფრანგეთის სახელით – გენერალი დე გოლი.

„დიდ გენერალ მაკატუს“ თუ არ ჩავთვლით, ეს ყველაფერი მართლა ისე უაპელაციოდ, ისეთი დამაჯერებლობით არის ნათქვამი, თითქოს პატივცემული და პოპულარული ლექტორი თავადაც ესწრებოდა კაპიტულაციის ხელმოწერის ცერემონიას და თავად დაინახა, როგორ სურდა კალტენბრუნერს, იმ დასაწვავ მარჯვენაში სწვდომოდა დე გოლს, რომელმაც კაპიტულაციის აქტზე ხელის მოწერა დააპირა.

სინამდვილეში არც კალტენბრუნერი და არც დე გოლი იქ არ ყოფილან, ისევე როგორც თავად პატივცემული ლექტორი. არც ერთს არ მიუღია მონაწილეობა გერმანიის კაპიტულაციაზე ხელმოწერის რომელიმე ცერემონიაში. არც რეიმსში და არც კარლსჰორსტში.

მაგრამ სანამ რეიმსსა და კარლსჰორსტს ვეწვევით, მანამდე „მაკატუს“ – ამ „დიდი გენერლის“ ამბავი უნდა დავაზუსტოთ. მაკატუ, როგორც ეს გვარი ისმის ლექციაში, ალბათ მაკარტურს უნდა ნიშნავდეს, მაგრამ, სავარაუდოდ, ლექტორი სიტყვის შუაში მიხვდა, რომ მაკარტური იქ არაფერ შუაში იყო და ამიტომ მისი გვარი ბოლოსკენ წაამიქშერა.

არმიის გენერალი დაგლას მაკარტური – მოგვიანებით გაეროს ჯარების სარდალი კორეის ომში, მეორე მსოფლიო ომის მთელი პერიოდის მანძილზე წყნარი ოკეანის სამხედრო ოპერაციებს ხელმძღვანელობდა და 1945 წლის 2 სექტემბერს სწორედ მისი ხელმოწერით დასრულდა ფორმალურად მეორე მსოფლიო ომი, როცა მან, როგორც მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა, ამერიკის მთავრობის სახელით იაპონიის კაპიტულაცია მიიღო ამერიკის სახაზო გემ „მისურიზე“. გერმანიის კაპიტულაციასთან მას არანაირი კავშირი არ აქვს. გარდა ამისა, ამერიკელი გენერალი იყო და ვერაფრით იქნებოდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი.

არ არის გამორიცხული, რომ აღიარებულ ლექტორს, „მ“ და „ტ“ ბგერების თანხვედრისა თუ აკუსტიკური ეფექტის გამო, მექანიკურად აერია იგი ბრიტანელ ფელდმარშალ მონტგომერიში, რომელიც სწორედ 1945 წლის მაისში გერმანიაში დიდი ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარების მთავარსარდლად დაინიშნა. შეიძლებოდა მართლა დაგვეშვა გვარების ასეთი უნებლიე აღრევა, რაც არცთუ დიდი ცოდვა იქნებოდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ რაგინდ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი ყოფილიყო, არც მონტგომერის ჰქონია პირდაპირი კავშირი გერმანიის კაპიტულაციასთან, მასზე ხელმოწერასთან ხომ – საერთოდ.

გერმანიის კაპიტულაციის პირველი აქტი გაფორმდა 1945 წლის 7 მაისს, რეიმსში, გენერალ ეიზენჰაუერის შტაბში. კაპიტულაციას ხელი მოაწერა ვერმახტის უმაღლესი სარდლობის ოპერატიული ხელმძღვანელობის შტაბის უფროსმა, გენერალ-პოლკოვნიკმა **ალფრედ იოდლმა.** კაპიტულაცია მიიღეს: საბჭოთა კავშირის მხრიდან – უმაღლესი მთავარსარდლობის წარმომადგენელმა მოკავშირეთა სარდლობასთან, გენერალ-მაიორმა **ივან სუსლოპაროვმა** და მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების მთავარი შტაბის უფროსმა, აშშ არმიის გენერალ-ლეიტენანტმა **უოლტერ ბედელ სმიტმა.** როგორც მოწმემ, აქტს ხელი მოაწერა აგრეთვე საფრანგეთის ეროვნული თავდაცვის შტაბის უფროსის მოადგილემ, ბრიგადის გენერალმა **ფრანსუა სევეზმა.**

სტალინს არ მოსწონებია კაპიტულაციის ხელმოწერა საფრანგეთის ტერიტორიაზე, თანაც – მოკავშირეთა ერთგვარი წამყვანი როლით, და ყველაფერი იღონა, რომ გაფორმებულიყო ახალი კაპიტულაცია უკვე გერმანიის ტერიტორიაზე, კერძოდ – ბერლინში, რომელიც საბჭოელთა მიერ იყო აღებული.

კაპიტულაციის მეორე აქტი გაფორმდა 8-9 მაისის ღამეს ბერლინის გარეუბან კარლსჰორსტში, სამხედრო-საინჟინრო სასწავლებლის ოფიცერთა კლუბში. გერმანიის მხრიდან კაპიტულაციას ხელი მოაწერეს ვერმახტის უმაღლესი სარდლობის შტაბის უფროსმა, გენერალ-ფელდმარშალმა **ვილჰელმ კაიტელმა,** გერმანიის სამ-

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 135-136

ხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენელმა, გენერალ-პოლკოვნიკმა **ჰანს-იურგენ შტუმპფმა** და გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალების წარმომადგენელმა, გენერალ-ადმირალმა **ჰანს-გეორგ ფონ ფრიდებურგმა.** კაპიტულაცია მიიღეს: საბჭოთა კავშირის მხრიდან – მარშალმა **გიორგი ჟუკოვმა** და მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების მთავარსარდლის მოადგილემ, მარშალმა **არტურ ტედერმა** – დიდი ბრიტანეთის მხრიდან. როგორც მოწმეებმა, კაპიტულაციის აქტზე თავიანთი ხელმოწერები დატოვეს აგრეთვე გენერალმა **კარლ სპაატსმა** (აშშ) და გენერალმა **ჟან დე ლატრ დე ტასინიმ** (საფრანგეთი).

ასე იყო ეს ამბავი!

და სად არის აქ გენერალი დე გოლი? ან სად არიან ეიზენჰაუერი და „მაკატუ“? (გინდაც – მაკარტური თუ მონტგომერი?) ან სად არიან კალტენბრუნერი და დენიცი?

თინეიჯერთა საყვარელმა ლექტორმა ერთადერთი გვარი „გაარტყა“– მარშალ ჟუკოვისა, ოღონდ ისიც ჩამოაქვეითა და გენერალი ჟუკოვიო, – მორიგი ნაფაზი გაუშვა აუდიტორიაში. ხოლო ის ბოლომდე დაუდგენელი „მაკატუ“, მისი აზრით, პირიქით – აღამაღლა, ახალი ჩინი მოიგონა მისთვის: დიდი გენერალიო! მაგრამ თუ, ჩვენი დაშვების თანახმად, „მაკატუში“ მონტგომერის გულისხმობდა, სინამდვილეში ისიც დაუქვეითებია – ბერნარდ ლოუ მონტგომერი ფელდმარშალი იყო.

ამდენი ბოლის გამო სიმწრისგან ყვირილი რომ არ დავიწყო და ლექტორის მიერ ასე შეურაცხყოფილი და გაბრაზებული მკითხველიც რომ ოდნავ გავახალისო, ერთი ანეკდოტი მართლა უნდა მოვყვე:

მავანი უცხოელი ტურისტი ერევანში გენერალ ბაგრამიანის ქუჩას ეძებდა. ვის აღარ ჰკითხა, დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს. არა, ეგეთი ქუჩა არ გაგვიგიაო, – ყველამ ასე უპასუხა. ბოლოს ერთმა ისიც კი უთხრა, გენერალ ბაგრამიანის ქუჩა არათუ ერევანში, მთელ სომხეთში არ არისო! დაეჭვდა ეს კაცი, ვაითუ, გვარი მეშლებაო, ბლოკნოტი დააძრო და სწორედ იმ კაცს აჩვენა, მთელ სომხეთში გენერალ ბაგრამიანის ქუჩას ვერ ნახავო, იმედი რომ გადაუწურა. იმან ჩახედა ბლოკნოტს და, – შენ თურმე მარშალ ბაგრამიანისა გდომებიაო! სომხეთის ყველა ქალაქშია მარშალ ბაგრამიანის ქუჩაო, როგორ თუ არ არისო!

> ჩემი მკითხველის მოთმინებას ვაფასებ და მის ნერვებს ვუფრთხილდები, თორემ რა მეანეკდოტება! ორი აგური უნდა მეჯიროს ხელში, ერთი – პატივცემული ლექტორისთვის და მეორე – ფრანკლინის აკადემიის მესვეურთათვის, რომელთაც თავისი მსმენელების დაგოლება არ იკმარეს და ეს აგდაუგდა ლექციი იუტუბში გამოკიდეს ჩერჩილის რომელიმე რჩეული გამოსვლასავით.

ნეტა ისემც ექნათ, თავის დროზე სულაც სერჟანტამდე ჩამოელაბორანტებინათ, გენერლისა და მარშლის არევა ჟუკოვთან მიმართებაში ყველაზე პატარა უზუსტობაა უზუსტობათა და შეცდომათა ამ ხოშკაკალაში, პატივცემულმა ლექტორმა რომ დაგვატეხა თავს. რა ანეკდოტი, რის ანეკდოტი, სუნთქვა შეიძლება შეგეკრას კაცს ამდენი ბოლისგან!

განა ეს არის ახალგაზრდების სიყვარული?

განა ეს არის „ამომწურავი ცოდნა“?

ან სად არის ლექციის დასაწყისში დეკლარირებული საგნის ცოდნა, ან გადმოცემის უნარი ან სხვა მნიშვნელოვანი ამბები, მასწავლებელს რომ მოეთხოვება სიყვარულის ხელოვნებასთან ერთად?

ან თავად სიყვარულის ხელოვნება სად არის?

და რომც იყოს, სიყვარული, რაგინდ დიდი და უანგარო, ტყუილებს ხომ ვერ დააბალანსებს.

სიყვარული კი არა, აქ უფრო ახალგაზრდების ფეხებზე დაკიდების უხეში ხელობა ჩანს,– ქართველ თინეიჯერებში დღეს ასე პოპულარული წიგნის სათაური რომ გავაუხეშოთ. თუმცა მარკ მენსონის „ფეხებზე დაკიდების ნატიფ ხელოვნებას“ ორიგინალში გაცილებით უხეში სათაური აქვს.

მარკ მენსონის აზრი ნაკლებად მაინტერესებს, ის კი მაფიქრებს, როგორ მოეწონებოდა ამგვარი ხელობა, ამგვარი სიყვარული და ამგვარი ცოდნა ბენჯამინ ფრანკლინს.

ნეტა რამდენი ფრანკლინიანი კუპიურა მიიღო ლექტორმა ამ ლექციაში?

როგორ არ გავიხსენო აქ ზემოთ უკვე ციტირებული პროგრამა, რომ *„ფრანკლინის კლუბის მიზანია კლასიკური ლიბერალური/ლიბერტარიანული ღირებულებების გავრცელება“.*

და როდის აქეთ გახდა დაუდევრობა, ფაქტების დამახინჯება და ფასიან თუ უფასო მსმენელთა ფეხებზე დაკიდება „კლასიკური ლიბერალური/ლიბერტარიანული ღირებულება“?

ეს ყველაფერი მხოლოდ მსხვილმანი კი არა, უკვე მეტისმეტია!

მეტისმეტი ბრეტისბრეტი – ასე უთქვამთ ძველებს, ვინც ზომაზე არა ყლაპავს, სიმწრით დაახვლებს... ეს აკაკის მიერ თარგმნილი კრილოვის იგავ-არაკის ფინალია. იგავ-არაკს „ბაყაყი და ხარი“ ჰქვია. ვაჰ, ეს ბაყაყი რაღამ გამახსენა ნეტა?! რა დროს კრილოვი და არისტოფანეა, – ორი მწერალი კი არა, ორი აგური უნდა... თუმცა ეს ხომ უკვე ვთქვი...

ის კი არ მითქვამს, პატივცემულმა და პოპულარულმა ლექტორმა კალტენბრუნერიან-დეგოლიანი პასაჟი ასეთი ფრაზით რომ დააბოლოვა (კინაღამ აქაც დაბოლა წამომცდა!):

„მიუხედავად ამისა, ფრანგებს ინგლისელებისა და ამერიკელების ხათრით ტერიტორიაც კი მიეცა საოკუპაციო და მატარებლებიც კი შეიყვანეს გერმანიაში“...

ხოლო ამას მატარებლებიანი პასაჟი მოჰყვა:

„გერმანიაში მთავარი ტრანსპორტი არის მატარებელი. ხომ იცით, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად არის. ამერიკის შეერთებულ შტატებში მთავარი ტრანსპორტი არის შენი ავტომობილი. მატარებელი არ ვარგა, საზიზღარი სახელი ჰქვია ქართველი ხალხისთვის. ამტრაკი ჰქვია. ჰოდა ამტრაკში, აი, დაახლოებით რაც გესმით, ისეთი ვითარება არის. ძაან ცუდი მატარებლებია, ძაან ნელა დადის, მოკლედ არ ეკადრება ამერიკას“.

განა აღიარებულ და პოპულარულ ლექტორს კი ეკადრება ორი ისეთი უზუსტობა, ამ შედარებით მეორეხარისხოვან პასაჟში რომ გვხვდება?

გერმანიაში მთავარი ტრანსპორტი XX საუკუნის ბოლოდან (აქაც ლამის „ბოლიდან“ წამომცდა!) გახლავთ არა მატარებელი, არამედ ავტომობილი.

ხოლო ამტრაკი, რაგინდ საზიზღრად ჟღერდეს ქართველი ხალხისთვის, აშშ ეროვნული სამგზავრო სარკინიგზო კომპანიის სახელწოდებაა და არა მატარებლისა. მატარებელს კი ამერიკაშიც მატარებელი ჰქვია – ტრეინ.

სხვათა შორის, ზოგიერთი ცნობით, ამერიკის რკინიგზაზე ჯერ კიდევ ბლომად მიმოდიან ორთქლმავლები. ამერიკას არ ეკადრება, მაგრამ მაინც...

მოკლედ ორთქლი – იქა, ბოლი – აქა.

აქა, ანუ – ფრანკლინში! და პატივცემული და პოპულარული ლექტორის ლექციებში. შესაძლოა, – წიგნებშიც. არ ვიცი, ამ თვალით არ წამიკითხავს.

ხოლო ეს ლექცია მე ბოლომდე (ისევ – ბოლი?) ვერ მოვისმინე. მე-11 წუთზე ვაღიარე ჩემი მარცხი – კიდევ საათსა და 5 წუთს ასეთ ბოლს ვეღარ გავუძლებდი, თვალები ამეწვებოდა და სული შემეხუთებოდა! და ნერვები დამეწიწკნებოდა! თუმცა იქნებ მერე და მერე იქ ბოლი ნაკლებია, ან იქნებ სულაც აღარ არის. ყოველ შემთხვევაში, მე მინდა, ამის იმედი დავიტოვო. იქნებ აღიარებულმა და პოპულარულმა ლექტორმა თავისი და ფრანკლინის დანაპირები შეასრულა და ბოლოს და ბოლოს (ბოლის და ბოლის!) მართლა ესაუბრა ბავშვებს ლიტერატურაზე, სადაც მას, ჩვეულებრივ, მეტი ელეფთერია აქვს – ლიტერატურაზე საუბრისას უფრო მოსულა ამგვარი დაახლოებითი ლაპარაკი, ასეთი დაუდევრობა და ესოდენ თავაშვებული თავისუფლება. არ ვიცი, აკი ვამბობ, მე-11 წუთზე დავმარცხდი. დანარჩენი საათი და 5 წუთი სხვებმა ნახეთ, ვისაც მეტი მოთმინება და ნაკლები მომთხოვნელობა გაქვთ.

თუ, რა თქმა უნდა, ფრანკლინმა ჭკუა არ იხმარა და ამასობაში სასწრაფოდ არ გადამალა ეს ლექციი იმ თავისი ნაქები ლექტორიანად.

პაატა ნაცვლიშვილი

სიხარულის დესპანი



გივი სიხარულიძის შემოქმედებითი საღამო

„ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲡᲐ სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი!“ ეს ბიბლიური შეგონება გივი სიხარულიძეს პირდაპირ გულზე დააწერა უფალმა. თითქოს საკუთარი ჯვარი არ ჰყოფნიდეს, სხვისი სიმძიმეების მტვირთველი არის მუდამ.

იშვიათად შეიხვედრია კაცი, რომ ამართლებდეს გვარ-სახელს, გვარიც იგივე სახელია... **გივი სიხარულიძე** ჭეშმარიტად სიხარულის დესპანია ჩვენს საზოგადოებაში“ – ეს ამონარიდი ეკუთვნის გივი სიხარულიძის ერთ-ერთი საუკეთესო რჩეულის **„აწყვეტილი სიცოცხლის“** რედაქტორს **ვახტანგ ღლონტს.**

30 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა გივი სიხარულიძის შემოქმედებითი საღამო საზღვრისპირა დედოფლისწყაროს ი. ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის (თავმჯდომარე **ვანო ნატროშვილი,** თანათავმჯდომარე **ნანა ჭიჭინაძე**) თაოსნობით.

საღამოს თავად გივი სიხარულიძე უძღვებოდა. მან თავის უახლოეს მეგობრებს – პოეტებს **ვაჟა ეგრისელს** და **ვაჟა ოთარაშვილს** სთხოვა წაეკითხათ ლექსები, შემდეგ თავად გივი სიხარულიძემ წაიკითხა ორი საკუთარი ლექსი მიძღვნილი გარდაცვლილი მეუღლის და დედისადმი...

გივი სიხარულიძის შემოქმედებაზე ვრცლად ისაუბრეს მისმა მეგობრებმა, აღნიშნეს, რომ იგი არის არა მარტო მწერალი და მსახიობი, არამედ საუკეთესო სპორტსმენი – სამთო მოთხილამურე, ცნობილი თამადა, მრავალმხრივ განათლებული პიროვნება.

დედოფლისწყაროელების სახელით ახალგაზრდა დეკლამატორმა მარიამ ტოხიშვილმა ბატონ გივის მიუძღვნა საკუთარი ლექსები.

საღამოს ფონად გასდევდა ცნობილი პიანისტების **ნანა გელაძის, ნათია ქავთარაძის, მანონ ყუბანეიშვილის, მარინა ფარულავას** მიერ შესრულებული გამოჩენილი კომპოზიტორების საფორტეპიანო კომპოზიციები. ბატონი გივის უახლოესმა მეგობარმა **რეზო სულავამ** შეასრულა რევაზ ლაღიძის სიმღერა ქუთაისზე კომპოზიტორ მაყვალა ხორბალაძის აკომპანიმენტით.

საღამოს დასასრულს გივი სიხარულიძემ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორს ნანა ჭიჭინაძეს და დედოფლისწაროელებს ასეთი შესანიშნავი საღამოს გამართვისთვის.

მარიკა პოპიაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის მდივანი.

გვარის სიყვარული დიდი ღირსებაა!

(მეხუთე გვერდიდან)

გვარის ჰაფლოჯგუფის დადგენაზე იზრუნეს, ამ საქმის ქართველმა მკვლევარებმა, კახი სახლთუხუცესმა და მისმა მეგობრებმა, გრანტივით საჩუქარი გაგვიკეთეს და უფასოდ გავტესტეთ ჩვენი გვარის ახალგაზრდა წინამძღოლი, ლევან მამალაძე. მაგრამ, უფრო ღრმა კვლევაა საჭირო. ჯერჯერობით მონათესავე გვარი არ დადგენილა დნმ-ის მიხედვით, არადა ეს ზუსტი მეცნიერებაა.

ვისარგებლებ შემთხვევით და მივმართავ შეძლებულ მამალაძეებს, დაეხმარონ ჩვენი გვარის წინამძღოლებს და ახალგაზრდებს გვარის წინამძღოლობის საქმეში, დნმ-კვლევები იქნება თუ სხვა საქმიანობაში. მეც რაც შემიძლია დავეხმარები. მაქვს რამდენიმე ძველი ტექსტი ბუღარა მამალაძეზე, საჭიროა გაშიფრვა და გამოქვეყნება. მაქვს მამალაძეების მიერ ნამღერი სიმღერები, ჩაწერილი 1914 წელს, რომელსაც ესაჭიროება გაწმენდა და გამოქვეყნება.

არქეოლოგიური კვლევაა ჩასატარებელი სოფელ ხევში (ხევში, სატობიეს ღელესთან, უკვე აღმოჩენილია ახალბრინჯაოს ხანის განძი, რომელიც ინახება ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში). განსაკუთრებით საინტერესოა სკოლის ეზო და მისი გარემო, სადაც იდგა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია და სხვა ადგილები. ჩემი დაკვირვებით, არქეოლოგიურად საინტერესო უნდა იყოს საქორისთავი, სოსო მამალაძის ახლანდელი ეზო, ციხიას მთა და სხვა ადგილები.

კარგი იქნება მოვიძიოთ პიესა „ბუღარა მამალაძე“ და დაიდგას რომელიმე თეატრის სცენაზე.

იმედი მაქვს, მუშაობას განაახლებს, ხევის (ხეველთა და ხევიდან გამოსულთა) მრჩეველთა საბჭო, რომელშიც შევლენ, ხევში მცხოვრები და ხევიდან გამოსული, სხვადასხვა გვარის ოჯახიშვილები, რომლებიც მამალაძეთა საგვარეულო კავშირთან ერთად ბევრი რამის გაკეთებას შეძლებენ. მე, როგორც პოლიტიკით დაინტერესებული პიროვნება, ამ საბჭოში ვერ ვიქნები, თუმცა, როგორც შემიძლია დავეხმარები.

ფეისბუქზე არსებობს მამალაძეების გვერდი, სადაც არის მითითებული გვარის კავშირის ანგარიშის ნომერი. დაუკავშირდნენ გოგი და ლევან მამალაძეებს და დავძრათ ეს საქმე სასიკეთოდ.

მამალაძეების ფუძე სოფლად ითვლება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელი ხევი, რომელიც მდებარეობს მდინარე გუბაზეულის ხეობაში, ჩოხატაურიდან 15 კილომეტრში, ნაბეღლავისა და ბახმაროს გზაზე. არის ცნობა, რომ აღნიშნულ სოფელს, ძველად მამალაძე რქმევია. ასეთი პრეცედენტები ხშირია დასავლეთ საქართველოში, როცა გვარის სახელი ეწოდებოდა სოფელს. ხევი ეტიმოლოგიურად უკავშირდება ხეობას, ხევს. ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, 1874 წელს, აჭარაში და გურიაში თავისი მოგზაურობის ჩანაწერებში, ახსენებს სოფელ ხევს (ასევე მის ძველ სახელს მამალაძე), სახალხო გმირს, ბუღარა მამალაძეს და მღვდელ-მონაზონ მაკარიოზ მამალაძეს, რომელსაც „ღარიბობით“ შეუსყიდია სახარება და დაუდვია წმიდა გიორგის საყდარში, ხევში.

როგორც ზემოთ მოყვანილი ფაქტები და მაგალითები ცხადყოფენ, სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი, ცალკეული საგვარეულო დარბაზები და მათი ხელმძღვანელები მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით ზრუნავენ გვარების შეკავშირება-გამთლიანების დიდი ამოცანების შესასრულებლად,თუმცა ერის გამთლიანება-შეკავშირების უდიდესი ამოცანის გადასაწყვეტად მხოლოდ ენთუზიაზმით საქმიანობა საკმარისი ნამდვილად არაა. როგორც ჩანს შესაბამისი ფინანსური დახმარების გარეშე დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანების გადაწყვეტა შეუძლებელი იქნება.

ვალერიან ლომიძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

გუსტად 210 წელი შესრულდა მოსკოვთან ახლოს სოფელ ბოროდინოსთან გამართული ბრძოლიდან (26 აგვისტო – 7 სექტემბერი), რომელიც რუსეთისა და საფრანგეთის ჯარებს შორის მოხდა. ნაპოლეონ ბონაპარტისა და მიხეილ კუტუზოვის ეს დაპირისპირება შემდგომ „სამამულოდ“ მონათლულ ომში, რუსეთის ისტორიოგრაფიის მიერ „რუსული მხედართმთავრული გამჭრიახობის, სულისა და იარაღის ბრწყინვალე გამარჯვებად“ მოიხსენიება, თუმცა კი ისტორიული დოკუმენტებით გამაგრებული ფაქტები ერთობ განსხვავებულად წარმოაჩენს არა მარტო ამ დაპირისპირებას, არამედ მთელ ისტორიულ პერიოდს.

ბოროდინოს მოგებული ომის მითი სტალინმა შექმნა!

რუსეთში ნაპოლეონის შემოჭრისას, 1812 წელს მოსკოვის მისასვლელთან გამართული ბოროდინოს ომის 150 წლისთავისთვის, ცნობილმა საბჭოთა რეჟისორმა სერგეი ბონდარჩუკმა, გახმაურებული ფილმი „ომი და მშვიდობა“ გადაიღო, რომელიც საჩვენებლად 1968 წელს პარიზში წაიღო. კინოფილმის საზეიმო წარდგენისას წარმოთქმულ შესავალ სიტყვაში, კინორეჟისორმა, როგორც ნასწავლი ჰქონდა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ბოროდინოს ომი რუსული იარაღის სახელოვანი გამარჯვებაა“, მაგრამ ამის თქმას უმალ დამსწრეთა უცნაური ხმაური მოჰყვა. ბონდარჩუკმა იფიქრა, რომ მთარგმნელს უნებლიე შეცდომა მოუვიდაო და ნათქვამი გაიმეორა, რის შემდეგ უარესი მოხდა: დარბაზში სტვენა და ფეხის ბაკუნი ატყდა.

აღმოჩნდა, რომ ფრანგებს მიაჩნიათ (და არცთუ უსაფუძვლოდ!), რომ ბოროდინოს ომი მათ მოიგეს! თავად განსაჯეთ: ბრძოლის შემდეგ კუტუზოვმა უკან დაიხია (გაიქცა?), აქოოდა „ჯარის გადასარჩენად“, და მოსკოვი დატოვა... როგორც გინდა იყოს, ამის გამარჯვებად მიჩნევა, ცოტა არ იყოს, ძნელი საქმეა. ამის საილუსტრაციოდ, გთავაზობთ წიგნის „1812 წლის ომის პირველი სამეცნიერო ისტორიის“ ავტორის, ცნობილი ისტორიკოსისა და რეჟისორის **ევგენი პონარენკოვის** ინტერვიუს შემოკლებულ ვარიანტს.

იმის შესახებ, რუსებმა ბოროდინო რომ წააგეს, ჯერ კიდევ ბრძოლის დღესვე გახდა ცნობილი. იმის ეჭვი, რომ მოსკოვი თავად რუსებმა დაწვეს, ისტორიკოსებს მე-19 საუკუნეშიც აფიქრებდათ... ის ამბავი, რომ 1812 წლის ომი არა ნაპოლეონმა, არამედ რუსეთის მეფე ალექსანდრე I-მა დაიწყო, მემატიანეთათვის ცხადი მე-20 საუკუნის დასაწყისში გახდა. მაგრამ ხელისუფლების სათავეში იოსებ სტალინის მოსვლის შემდეგ, რუსეთში სამამულოდ წოდებული ომის ამბავი თავდაყირა დადგა. დგინდება, რომ ეს ნაპოლეონი შეიჭრა რუსეთში, ხოლო ბოროდინოს ბრძოლა – დამარცხება კი არა, გამარჯვება ყოფილა; რომ რუსეთის ჯარის საზღვრიდან უკან დახევა არა მტრისთვის ზურგის სამარცხვინო ჩვენება, არამედ „სკვითური გეგმა“, მოწინააღმდეგის საკუთარ უკიდეგანო ტერიტორიაზე შეტყუების სტრატეგია იყო; რომ უნიჭო, გარყვნილი, გამყიდველი და უზარმაცესი კუტუზოვი – ყველა ერისა და დროის უნიჭიერესი სარდალი ბძანებულა!



– ნაპოლეონის ეპოქას ჯერ კიდევ სკოლის მოწაფეობიდან ვსწავლობ, აუარება ლიტერატურა და ისტორიული მასალა მუზეუმ-პანორამის „ბოროდინოს ბრძოლის“ ბიბლიოთეკაში შევისწავლე, სადაც უნიკალური დოკუმენტები ინახება, – ამბობს ბატონი ევგენი პონარენკოვი. – ჩემი მრავალწლიანი მუშაობის შედეგი გახდა 2004 წლის გამოცემული წიგნი „სიმართლე 1842 წლის ომის შესახებ“, სადაც პირველად განვაცხადე, რომ ეს არანაირი სამამულო ომი არ იყო და, პირიქით, თავად რუსეთის მეფე ალექსანდრე I ამზადებდა თავდასხმას საფრანგეთზე. იმ დროს რუსეთმა ისევე, როგორც უწინ, საფრანგეთის წინააღმდეგ ხელი მოაწერა კოალიციურ შეთანხმებას ინგლისთან, ესპანეთთან და შვედეთთან.

კონკრეტულ ციფრებზე დაყრდნობით, დავამტკიცე, რომ ინგლისის საკონტინენტო ბლოკადასთან რუსეთის მიერთებას, ქვეყანაში საფინანსო სისტემაზე გავლენა არ მოუხდენია, მაგრამ ფინანსური კრახი დადგა მას შემდეგ, რაც 1807 წელს მკვეთრად გაიზარდა სამხედრო ხარჯი – ეს კი უმალ ტილზიტის ზავის ხელმოწერის შემდეგ მოხდა! რუსეთსა და საფრანგეთს შორის ხელმოწერილი შეთანხმება მეტად არაპოპულარული იყო რუსული საზოგადოების ცხვირაბზეკილ ელიტაში: რუსეთი თავად დაესხა საფრანგეთს 1805, 1806 და 1807 წლებში, თავად სამარცხვინოდ დამარცხდა და თავადვე განაწყენდა ამის გამო!

სამართლიანი არ იქნება იმის უთქმელობაც, რომ **იმხანად რუსეთის მაღალი საზოგადოების წარმომადგენელთა ოჯახებში რუსული არაფერი იყო – ანუ, საერთოდ არაფერი! მოხმარებული ყოველდღიური ყოფის ნივთებისა და საგნების 99 პროცენტი ევროპაში, უმეტესწილად საფრანგეთში, იტალიასა და ინგლისში იყო წარმოებული! იმპერატორ ალექსადრეს სასახლეებში ქინძისთავიც კი არ იყო, რომელიც საზღვარგარეთიდან არ ყოფილიყო ჩამოტანილი.** იმ დროს რუსეთში არ იყო არც ერთი ადგილობრივი, ანუ რუსი კარის მხატვარი ან იუველირი, 1812 წლის ომის მონაწილეთა ყველა პორტრეტი უცხოელთა მიერაა დახატული ან ამოტვიფრული – ესენი არიან სენტ-ობენი, ვენდრამინი, კარდელი, პეტერ ფონ ჰესემი... მაშინდელ რუსეთში მაღალი დონის მხატვრები უბრალოდ არ არსებობდნენ.

ქვეყნის ცივილიზება იმპერატორმა პეტრე დიდმა მანამდე სულ რაღაც 100 წლის წინათ დაიწყო და მხოლოდ ომის დროს გაჩნდა ქვეყანაში რეგულარული არმია, რომელიც ნულიდან... უცხოელებმა შექმნეს. თავად შესაბამისი სიტყვებიც – „არმია“, „ინფანტერია“, „კავალერია“, „არტილერია“, „ლიტერატურა“, „მუსიკა“, აუარება სხვა – უკლებლივ ყველა უცხოურია.

ცივილიზაციამ რუსეთში გარე სამყაროდან შეაღწია და სწორედ ამის გამო იყო, რომ ელიტაში საშინელი კომპლექსი ჩამოყალიბდა: ერთი მხრივ, ის ეთაყვანებოდა ყოველივე უცხოურს, რაც ხშირად გროტესკამდე მიდიოდა (სწორედ ამას მწარედ დასცინა გრიბოედოვმა!), მეორე მხრივ კი ყველა ღონეს ხმარობდა, რათა დაემტკიცებინა, რომ მას თავადაც შესწევს რაღაცის უნარი. მაგალითად, თავი მოუყაროს ურდოს და პარიზამდეც ჩავიდეს! მართალია, არა განცალკევებულად, არამედ რუსეთთან, ავსტრიასთან და ინგლისთან ერთად...

თუმცა ამას არანაირი აზრი არ ჰქონდა, ვინაიდან პარიზში მანამდეც და მერეც ყველაფერი იყო, რუსეთში კი ხალხი ძველებურად ცხოვრობდა. ბატონყმობაც ისევე დარჩა, როგორც პარიზში რუსული ჯარის შესვლამდე.

– ჩემთვის იმთავითვე გახდა თვალნათელი, რომ რუსულ პროპაგანდისტულ ისტორიულ წიგნებში ჭეშმარიტებასთან უამრავი აცდენაა, – განაგრძობს ევგენი პონარენკოვი. – თავად განსაჯეთ: თუკი ბოროდინოს ბრძოლა რუსების გამარჯვებით დამთავრდა, მაშინ რატომ გაიქცნენ და რატომ ჩააბარეს მოსკოვი უბრძოლველად? ყველაფარი ცხადია: **ბოროდინოსთან რუსები უბრალოდ კი არ დამარცხდნენ, მათი ჯარი პრაქტიკულად განადგურებული იყო! იმ ბრძოლაში კუტუზოვს 155-ათასიანი ჯარი ჰყავდა, სადაც 115 ათასი რეგულარული დანაყოფების რიცხოვნობა იყო, 10 ათასი კაზაკი და დანარჩენი მოხალისეები იყვნენ.** ბრძოლაში მან 53 ათასი ჯარისკაცი, ანუ რეგულარული არმიის ნახევარი დაკარგა. ამდენად, **იმის თქმა, რომ კუტუზოვმა ჯარი შეინარჩუნა, სრული სისულელეა!** უარესი: **ბრძოლის შემდეგ დარჩენილი ჯარის შემადგენლობის ნახევარმა რუსეთის ქალაქებისა და სოფლების ძარცვა დაიწყო, ანუ მარადიორობას მიჰყო ხელი!** წიგნში მეფისთვის კუტუზოვის მიერ ან გაგზავნილ ბევრ პატაკს ვასაჯაროვებ, ასევე მრავლადაა მეფის ბრძანებაც იმის თაობაზე, რომ დეზერტირებს უმკაცრესად გაუსწორდნენ!

არადა, საბჭოურ ბიბლიოგრაფიაში უაზრო მატრასივით იმეორებდნენ, რომ კუტუზოვის ჯარის დანაკარგიც გაცილებით ნაკლები იყო და რომ თითქოს მოსკოვი ნაპოლეონს... მისივე გადასარჩენად ჩააბარეს და ამის უარყოფა არავის შეეძლო.

თუმცა, მიუხედავად ამისა, ზოგიერთი გამგდული მეცნიერი მაინც არ ეპუებოდა ოფიციოზის ტყუილს და ამტკიცებდა, რომ 1812 წლის ომი რუსეთისთვის არა სამამულო იყო, არამედ... აგრესიული, რადგან თავადვე წამოიწყო. ასევე ცნობილია ისიც, რომ ნაპოლეონმა რუსეთი იმიტომ დატოვა, რომ იქ დარჩენას არც გეგმავდა, მისი არმიის დიდი დანაკლისის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ მკაცრი კლიმატური პირობებია და არა რუსეთის ჯარი.

– 1830 წლამდე არ არსებობდა თავად ტერმინი „სამამულო ომი“, იმიტომ რომ არ ყოფილა არანაირი „სახალხო ომი“ – ეს, უბრალოდ, იმ მარტივი მიზეზით, რომ ის არც შეიძლებოდა ყოფილიყო ბატონყმური წყობის დროს, სადაც ქვეყნის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მონა იყო, – განაგრძობს ბატონი პონარენკოვი. – იმ ხანის რუსეთში, ადამიანები, არსებითად, ნივთები იყვნენ, რომელთაც ცხოველებზე უარესად ეპყრობოდნენ. ნებისმიერი, რაგინდ უმნიშვნელო დანაშაულისთვის, გლეხებს, მათ შორის ფეხმძიმე ქალებს, უმოწყალოდ ამათრახებდნენ, ჩვილებს ძაღლებს უგდებდნენ გასაგლეჯად: ყმები ჯიშიანებისთვის ერთგვარ „დელიკატესად“ ითვლებოდა(!).

ყმებს ხშირად ყიდდნენ აზიელ ვაჭრებზე, ხოლო მათი რიცხოვნობის გასაზრდელად... 14-15 წლის გოგო-ბიჭებს აქორწინებდნენ(!!). ამას აკეთებდა ალექსანდრე სუვოროვიც და უკიდურესად ხარბი მიხეილ კუტუზოვიც, რომელიც ექვსნახევარ ათას სულ ყმას ფლობდა და მუდამ მათი რაოდენობის გამრავლებაზე ფიქრობდა, ამდენად სულ იმის მეცადინეობაში იყო, რომ ქალებს რაც შეიძლება მეტი ემშობიარათ. მერე კი ბავშვებს ყმებად ჰყიდდა...

ნაპოლეონთან ომისთვის მზადება, ალექსანდრემ ტილზიტის ზავის დადებისთანვე დაიწყო. იგი იარაღს ყიდულობდა ავსტრიასა და ინგლისში, რამდენჯერმე გაბარდა სამხედრო ბიუჯეტი, გაავსო საფრანგეთი ჯაშუშებით, სასწრაფოდ ჩაატარა საჯარისო რეფორმა, თანაც ამის „თარგი“ თავად ვოლკონსკის... ნაპოლეონისთვის მოაპარინა.

1811 წელს, როცა ალექსანდრე უკვე სავსებით მზად იყო ომისთვის, მარშალმა დავუმ ამის შესახებ ნაპოლეონი გაარფთხილა, მაგრამ იმპერატორი ბედნერი იყო ახალგაზრდა მეუღლესთან და ახალშობილ ვაჟიშვილთან ერთად, ამიტომაც 1812 წელს დასვენებასა და იტალიაში გამგზავრებას გეგმავდა, რისთვისაც საგანგებოდ შეაკეთებინა კვირინალის სასახლე...

ასეთია, ძალიან მოკლედ, საბჭოთა ისტორიოგრაფების მიერ დამალული სიმართლე რუსეთის სამხედრო დიდებისა და სამოქალაქო თავდადების შესახებ, ასეთია რუსული სამხედრო ძალის უძლეველობის მითი!

მოამზადა
ოთარ ტურაგელიძემ

თქვენთან ჯერ კიდევ არ არის თავისუფლება და დემოკრატია?
მაშინ ჩვენ მოვალთ და გასწავლით!

ადამიანი თავისუფლებით ყოფილა დაწყევლილი!

ჭკუიდან გადასული ნახევარი მსოფლიოს უსაქციელობის ქრონიკები

(პირველი გვერდიდან) შეიქმნა სამოქალაქო სექტორი, ასობით არასამთავრობო ორგანიზაცია (ჩვენში სიყვარულით ენჯეოებს რომ ეძახიან) და სახალხო დამცველის ინსტიტუტი. ერთ სულ მოსახლეზე დღეს, საქართველოში, ორი არასამთავრობო ორგანიზაცია ანუ ასო, 10 სამოქალაქო აქტივისტი, შვიდი არამცოდნე და არამკითხე ჭკუის დამრიგებელი მოდის, მაგრამ სამოქალაქო საზოგადოება თავისი კანონის უზენაესობით – ფა-ფუ!

კანონის ისეთი არნახული უგულებელყოფა და დაკნინება, როგორსაც ჩვენ ამ გასული ოცდაათი წლის განმავლობაში შევესწარით, არ მახსოვს, არც ჩემს თაობას ახსოვს: ასე აბუჩად აგდებული კანონი და სამართალი არც არასოდეს ყოფილა, თვით 30-იანი წლების საშინელი რეპრესიების დროსაც კი, როდესაც ტროცკისტულ-ლენინური სატანა აღზევდა, გულაგის ბანაკებშიც არ ყოფილა ისეთი განუკითხაობა, როგორც ეს ამ სამი ათეული წლის განმავლობაში ვიხილეთ.

კანონისა და სამართლის აბუჩად აგდება, სხვისი უფლებების ფეხქვეშ გათელვა მხოლოდ ქართული მოვლენა არ არის, ეს არის ჭკუიდან გადასული ნახევარი მსოფლიოს დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრების და არა მარტო პოლიტიკური ცხოვრების წესი. საერთაშორისო მასშტაბით კანონდარღვევების მაგალითს სწორედ ის ქვეყნები გვიჩვენებენ, რომლებიც, თურმე, კანონის უზენაესობის დასამკვიდრებლად იღვწიან. ჩვენთან ლიტონ სიტყვაზე არავის უნდა ენდო და, რა თქმა უნდა, არც ამ სტრიქონების ავტორს...

ქართველმა პატრიოტებმა, ყოფილმა პოლიტპატიმრებმა თუ ცნობილმა დისიდენტებმა, უბრალოდ, სიმართლისთვის თავგადადებულმა ადამიანებმა საკუთარი სიცოცხლის ფასად ამცნეს მსოფლიოს ე.წ. წამყვანი ქვეყნების პოლიტიკურ ორგანიზაციებს, საერთაშორისო სასამართლოებსა თუ უფლებადამცველ ორგანიზაციებს იმ საშინელებათა შესახებ, რაც ნაცხროვის ხელისუფლების პირობებში ხდებოდა ციხეებსა თუ პირადაპირ ხალხის თვალწინ – ქუჩებში, მაგრამ რა? აქ, თბილისში ჩამობრძანებულმა აშშ-ს იმდროინდელმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უმცროსმა) ჩვენს მანიაკ პრეზიდენტ სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურა“ უწოდა.

რა კანონი, რა სამართალი! შეიძლება თავიანთ ქვეყნებში ანგლოსაქსები (აშშ-ინგლისი) კანონსა და კონსტიტუციას იცავენ, მაგრამ მათი ქვეყნის საზღვრებს იქით მათთვის არანაირი კანონი არ არსებობს. აი, მაგალითი: აშშ საერთაშორისო სამართლისა თუ კონვენციების გვერდის ავლით შეიჭრა ერაყში, მისი პრეზიდენტი დაატყვევა და ჩამოახრჩო, ერაყის სახელმწიფოებრიობა მიწასთან გაასწორა და ამ ყველაფრის საბაბად (მიზეზად კი არა, საბაბად!) გამოაცხადა: ერაყი მასობრივი განადგურების ქიმიურ იარაღს ქმნის, კაცობრიობას საფრთხე ექმნება და რა დროს კანონები და გაეროს რეზოლუციებიაო!

ქვეყნის განადგურების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ერაყს არავითარი ქიმიური იარაღის წარმოება არ ჰქონდა!

ინგლისის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა აღიარა (აღსარება თქვა!), რომ ჩვენმა დაზვერვამ არასწორი ინფორმაცია მოგვაწოდა ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის წარმოების შესახებო.

ფიუ! რა კარგი და რა მარტივი ყოფილა ამა თუ იმ ქვეყნის განადგურების მიზეზების ახსნა!

რომელი საერთაშორისო კანონებისა და სამართლის ნორმების მიხედვით დაისაჯა მართლა აგრესორი და მოძალადე?! რუსული ანდაზაა ერთი, რომელიც ძლიერთა ბატონობის სამართლებრივ საფუძვლებს ლაკონურად ხსნის: **Закон таига. медведь хозяин!**“ ჩვენებურად რომ მოვთარგმნოთ, მე ვარ და ჩემი ნაბადიო, - უშიშრად შეუძლია თქვას ძლიერმა და ამბობს კიდეც.

ასევე მოხდა ლიბიაში, აყვავებული ქვეყანა მიწასთან გაასწორეს, აშშ-მ და ნატომ, მაშინ, როდესაც მსოფლიო ტერორისტული ორგანიზაციები მათი შექმნილია და თავადაც არანაკლებ ტერორისტულ აქტებს ახორციელებენ.

ნეტავი რომელი საერთაშორისო სამართლის საფუძველზე დაბომბა ნატომ ანუ აშშ-მ იუგოსლავიის დედაქალაქი ბელგრადი და ძალით წაგლიჯა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა სერბეთისთვის საკრალური მნიშვნელობის ნაწილი – კოსოვო? ვინ დაისაჯა ამისთვის? სად იყო გაეროს რეზოლუციები და დასკვნები? არსად! დასჯით კი იუგოსლავიის პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი ჩაკლეს სტრასტბურგის ციხეში.

ეს არის კანონის უზენაესობა საერთაშორისო ურთიერთობათა სივრცეში?

ვინ მისცა ნება „დემოკრატიის ფორპოსტ“ ამერიკას ჩაერიოს ტაივან-ჩინეთის ურთიერთობებში, მით უფრო, რომ თვითონვე აცხადებს ტაივანი ჩინეთის განუყოფელი ნაწილიაო. თუ ასეა, რას უჩხიკინებს ჩინეთს“? რაიო, ძალა მაქვს და ჭკუა რა ჩემ ფეხებად მინდაო? ეგრეა? ეს არის სამოქალაქო ცნობიერება და კანონის უზენაესობის ერთგულება?

ბევრზე ბევრი უდავო ფაქტის განხილვა შეიძლება, როდესაც დასავლეთის „დემოკრატიული შუქურები“ ფეხებზე იკიდებენ საერთაშორისო წესებსა და კანონებს. აი, ერთი ცინცხალი მაგალითი და შინ, საქართველოში დავბრუნდები;

ამას წინათ გაერომ „მიიღო“ რეზოლუცია რუსეთის წინააღმდეგ, რომელსაც გაეროს 193 (ასოთხმოცდაცამეტი!) ქვეყნიდან მხოლოდ 54 (ორმოცდათოთხმეტმა) დაუჭირა მხარი, მათ შორის, ცხადია, საქართველომაც. გაეროს წევრი ქვეყნების მეოთხედის მხარდაჭერილი რეზოლუცია გაეროს რეზოლუციაა! ამას ქვია დემოკრატია და კანონის უზენაესობა?! იმ ორმოცდათოთხმეტთა შორის არის აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, თორემ საქართველო, სლოვაკეთი, პოლონეთი და სხვა აჭია-ბაჭია ქვეყნები გინდა ყოფილან და გინდა არა ანუ „**Закон таига. медведь хозяин!**“.

ახლა ისა ვთქვათ და ვიჩივლოთ, როგორ არის დაკნინებული და ფეხქვეშ გათელილი კანონი ჩვენში! ხელისუფლება ათი წელია იმაზე მოთქვამს, ჩვენი დესტრუქციული, კრიმინალური, ქვეყნის მტერი ოპოზიცია გადატრიალებითა და რევოლუციით გვემუქრება და სახელმწიფო ინსტიტუტების პიკეტირებას და ბლოკირებას აპირებს, აუჰ, შავად ჰქონია საქმე ხელისუფლებას.

თქვე დედ-მამა ცხონებულებო, თუ კანონი არ კანონობს და თქვენს მიერვეა დაკნინებული დაგლახაკავებული, ან გადაატრიალებენ, ან გადმოგატრიალებენ და თუ დასჭირდათ, დედასაც გიტირებენ! გახსოვთ დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“? რას ამბობს უმცროსი კარამაზოვი, როცა უფროსმა ძმამ ჩააგონა, ღმერთი არ არისო. „ღმერთი არ არის, მაშასადამე ყველაფერი ნებადართულია!“ ახლანდელი პატარ-პატარა „კარამაზოვები“ გაიძახიან: კანონი არ არის, ყველაფერი ნებადართულია!

აბა, ნახეთ თუ ასე არ არის!

ორმა ე.წ. ოპოზიციონერმა დეპუტატმა ქალბატონმა, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე რაღაც სითხე შეიტანეს, დარბაზში მიასხ-მოასხეს და აუტანელი სუნი დააყენეს. სხდომა შეწყდა, ზოგიერთი დეპუტატი იმდენად ცუდად შეიქნა, რომ „სასწრაფო დახმარების“ გამოძახება და მათი სტაციონარულ კლინიკაში გადაყვანა გახდა საჭირო. პარლამენტის სხდომა პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და მთელმა ქვეყანამ ნახა, ოპოზიციის წარმომადგენელთა ეს „პოლიტიკური“ გამოსვლა. როგორ ფიქრობთ, რა რეაქცია მოჰყვა ხელისუფლების მხრიდან ამ ფაქტს. პარლამენტის ერთ-ერთმა ლიდერმა თავის გამოსვლაში, რომელიც სხდომის განახლების შემდეგ შედგა, განაცხადა: ჩვენ არ გაგვკვირვებია ოპოზიციის წარმომადგენელთა დღევანდელი საქციელი, მათ ცუდი სუნის დაყენება ეხერხებათო. ეს იყო ამ ფაქტის ყველაზე „მკაცრი“ სახელისუფლებო შეფასება!

ვინც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს იცნობს, ან ზოგადი წარმოდგენა მაინც აქვს იურისპრუდენციაზე, იმას ეჭვიც არ შეეპარება იმაში, რომ ნებისმიერ ნორმალურ სახელმწიფოში იმ ორ აქტივისტ, ოპოზიციონერს სხდომათა დარბაზშივე დააპატიმრებდნენ და საქმე აღიძვრებოდა არა ბოროტი ხულიგნობის, არამედ ტერორიზმის მუხლით!

ჩვენთან? რის კანონი, რა სამართალი! კანონი ხშირად არა მარტო დაკნინებულია, არამედ პანღურამოკრულიც არის.

შემდეგი არგუმენტი გნებავთ კანონის გაბითურებისა? კი, ბატონო! მთელმა საქართველომ იხილა ტელევიზიით ოპოზიციისა და მათ მიერ გაბრუებული ახალგაზრდების შტურმი პარლამენტის შენობაზე. ამ შტურმს ხელმძღვანელობდა პარლამენტის დეპუტატი „პოლიტიკოსი“ ნიკანორ მელია. შტურმი დიდი გაჭირვებით მოიგერია პოლიციამ, ბევრი მათგანი დაშავდა, დაშავდნენ მომხდურებიც. ვინ დაისაჯა? დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, პოლიციამ „გენიალურად“ დაგეგმილი სპეცოპერაცია ჩაატარა და ნიკანორ მელია წინასწარ პატიმრობის საკანში მოათავსეს. სასამართლომ მას გირაოს სანაცვლოდ განთავისუფლების „მკაცრი“ განაჩენი გამოუტანა. იმ „ბლატნოი“ ქვეყნის ცნობილმა პოლიტიკოსებმა (მათ შორის აშს-ს საელჩომაც!), მელია უკანონო პოლიტიკურ პატიმრად მიიჩნია და მისი დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოსთხოვა (კი არ თხოვა, მოსთხოვა!) საქართველოს ხელისუფლებას. ეს მაშინ, როდესაც აშშ-ში მსგავსი ქმედებისათვის ადგილზე გააგორეს ხუთი კაცი (რეზინის ტყვიით კი არა! ტყვიის ტყვიით!) და სამასამდე – ციხეში ჩაყარეს. ას კაცზე მეტი დღესაც იხდის სასჯელს. არა და ის ხალხი გვიკიჟინებს, კანონის უზენაესობა აღიარეთო! რა გამოდის, კანონი ის არ არის, რაც ჩვენს სისხლის სამართლის კოდექსშია აღნიშნული, არამედ ის, რაც აშშ-სა და კოლექტიური დასავლეთიდან მოსული მოთხოვნებშია ნათქვამი!

ამის შემდეგ ჩვენი ხელისუფლება დღედაღამ ეხვეწებოდა მელიას, ე, ბიჭო, ნუ მოგვჭრი თავს მსოფლიო მასშტაბით, გადაიხადე ეგ ოხერი გირაო, განა მამაშენს სამაგისო ფული არ აქვსო და გამოდი მაგ ციხიდანო! არაო, – მელიამ, – არავინ გაბედოს ჩემი გირაოს გადახდა, მე აქედან არ გამოვალ, ვიდრე ხელისუფლება პოლიტპატიმრად არ მაღიარებსო. მერე ის იყო, რომ ევროკავშირიდან გადმორიცხეს გირაოს თანხა და, როგორც ჩანს, ჩუმად შემოუთვალეს კიდეც, ნამეტნავად საშაყირო გახდა შენი ამბავი და გამოდი ახლა გარეთო. გამოვიდა!

რა კანონი, რა სამართლიანობა! კინაღამ ის პოლიციელები ჩასვეს ციხეში, ვინც შტურმზე გადასულ გაეშებულ ბრბოს იგერიებდა.

აშშ და კოლექტიური დასავლეთი აშენებს ჩვენთან სამოქალაქო საზოგადოებას და ამყარებს კანონის უზენაესობას? ვავა, ჩქიმი ცოდა! პოლიციის კორდონს მიადგა ყოფილი პრეზიდენტობის კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე და პოლიციელებმა რომ არ გაატარეს, კორდონის რიგში მდგომ ერთ-ერთ პოლიციელს მეტალის მუზარადზე ისე ჩასთხლიშა, რომ მისი ჟღარუნი ჩვენ, ტელემაყურებლებმაც კი გავიგეთ.

იქ, სადაც კანონი კანონია, პოლიციელისთვის თავში ჩარტყმა კი არა, მუნდირზე ხელის უდიერად შეხებაც კი მძიმე დანაშაული და სახელმწიფოს შეურაცხყოფაა და საკადრისი სასჯელიც გარდაუვალია.

აქ? გრიგოლ ვაშაძეს ვინმემ უბატონოდ ხმა გასცა? აბა ეს ვინმე უცნობ მითაგვარიას ან ჭინჭილეიშვილს ექნა? ახლაც ვირის აბანოში იქნებოდა!

ფა-ფუ, კანონი და სამართალი! არა და ამერიკელი ბიძიები და დეიდები მჯიღს ირტყამენ გულზე, საქართველო სამართლებრივ სახელმწიფოდ უნდა ვაქციოთო. ეს ვისაც სჯერა, უვიცია, მაგრამ ვინც ამას დღეის ამას იქით დაიჯერებს, ის სრულ ჭკუაზე არ იქნება, ნამდვილად!

განა რა მოხდა დღეს ასეთიო, იკითხავს მავანი, რა მოხდა ჩემო ძმაო და დემოკრატიის ბურჯი ქვეყნის, აშშ-ს პრეზიდენტმა ბაიდენმა საქვეყნოდ განაცხადა, ჩვენ როგორი რასისტებიც ვიყავით ადრე, დღესაც ისეთები ვართო, ე.ი. რასისტები ფაშისტური შეფერილობითო. ზუსტად ამ სიტყვებით არ უთქვამს, მაგრამ მისი მოწოდება: რუსეთის მოქალაქეებს აშშ-ისა და ევროპის ქვეყნებში შესვლის უფლება უნდა ჩამოერთვასო, რასისტობის აღიარება არ არის?

რასიზმი არის ეროვნული ნიშნით ადამიანებისთვის უფლებების შეზღუდვა, ანუ დისკრიმინაცია. ბაიდენისა და სხვა ბაიდენების აზრით, არა მარტო ეროვნული, არამედ მოქალაქეობრივი სტატუსითაც შეიძლება განისაზღვროს ადამიანთა დისკრიმინაციის ფორმა. რუსეთის მოქალაქე ათეული და ასეული სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენელია, დღეს და ისინი რიგითი მოქალაქეები არიან თუ პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები მნიშვნელობა არა აქვს, ევროპის ქვეყნებში და აშშ-ში არ შეიშვებიან, არა!.. უფრო მეტი სიგიჟე, ტვინდაჟეჟილობა და ზნეობრივი დეგრადაცია წარმოუდგენელია! ჰა, იქნებ ასე არ არის? აი, ზოგოერთი ვაი-უი ქართველი რუსი ტურისტების საქართველოში შემოსვლას რომ აპროტესტებს, – სრულ ჭკუაზეა რომელიმე მათგანი?

არა, გერმანელი ფაშისტები ამათზე უფრო ზომიერი რასისტები ყოფილან, პოლონეთში, ჩეხეთში უნგრეთში, რუსეთში თუ სხვაგან, მხოლოდ ებრაელებს სდევნიდნენ! გერმანელი ფაშისტები რომ სანატრელი გაუხდება კაცს, სამოქალაქო საზოგადოების აშენებასა და კანონის უზენაესობის დამკვიდრებაზე იფიქრებს ის კაცი?

აი, სადამდე მიიყვანა ხალხი ზნეობის უარყოფამ, ყველაფრის ნებადართულობის იდეამ, სრულმა, ანუ უსაზღვრო პიროვნული თავისუფლების სატანურმა პროპაგანდამ! რა მართალი ყოფილა ჟან-პოლ სარტრი, რომ გვიანდერძა: ადამიანი თავისუფლებით არის დაწყევლილიო“!..

კანონისა და სამართლის დაკნინება, აბუჩად აგდება და ბოლოს სულაც მივიწყება „თავისუფლებით დაწყევლილი“ კაცის მდგომარეობამდე მიდის, რომლის იქით მხოლოდ ცეცხლი და მდუღარე კუპრია!

ვის უნდა ეს?
ზურაბ ცუცქირიძე,
პედაგოგიკის დოქტორი, განათლების აკადემიის წევრი.

◎ აუზში

ერთი გასროლით – ორი კურდღელი



საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა ნამდვილი ფურორი მოახდინა ხორვატეთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე, რომელშიც, თანამემამულე კალათბურთელთა მსგავსად, ზედიზედ მეხუთედ მონაწილეობს და უკვე გააუმჯობესა აქამდე ნაჩვენები საუკეთესო შედეგი – მეათე ადგილი.

მეტიც – მეოთხედფინალში გასვლით **დეიან სტანოიევიჩისა** და **ზურაბ რურუას** გაწვრთნილმა გუნდმა, სადაც ფავორიტი მასპინძლები ელიან, „ჯვაროსნებმა“ მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის საგზური მოიპოვეს. ვულოცავთ!

მერვედფინალი. საქართველო – ნიდერლანდები 12:8 (2:3, 5:1, 2:2, 3:2).

საქართველო: რაზმაძე, ვაპენსკი (2), დადვანი (1), შუშიაშვილი (1), ბითაძე (2), ელაჩა (3), ჯახაია (1), სარიჩი, იმნაიშვილი, ტყეშელაშვილი, ბარალდი (1), ვასიჩი (1), შუბლაძე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მეკარე ნიკოლოზ შუბლაძის შესანიშნავი თამაში, რომელმაც 32 წუთში მეტოქის 35 ტყორცნიდან 27(!) მოიგერია.

◎ ტატამზე

მსოფლიოსაც შეუტევს

დაახლოებით 400 დღე დასჭირდა ოლიმპიურ ჩემპიონს ლაშა ბეძაურს ტრავმირებული მხრის მოსარჩენად და ტატამზე ტრიუმფით დასაბრუნებლად.

თუმცა, დაბრუნებასაც გააჩნია – ჩვენმა საამაყო სპორტსმენმა (90 კგ) ოთხივე მეტოქე (მონტენეგროელი, უნგრელი და ორი მასპინძელი) იპონით დაამარცხა ავსტრიის ქალაქ ობერვარტში გამართულ ევროპის ძიუდოისტთა ღია პირველობაზე, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი ოქტომბერში დანიშნულ მსოფლიოს ჩემპიონატზეც გაამართლებს ფავორიტის სტატუსს.

ტიტულოვან პარტნიორს ღირსეულად აუბა მხარი 81 კილოში მოჭიდავე **ვლადიმერ ახალკაცმა,** რომელმაც 5 ბრძოლა მოიგო ავსტრიის, შვეიცარიის, დიდი ბრიტანეთის, სლოვაკეთის, საფრანგეთის წარმომადგენლებთან და საქართველოს დელეგაციას მეორე ოქრო მოუტანა.

დავძენთ, რომ ჩვენი ნაკრების 7 წევრიდან საპატიო კვარცხლბეკზე კიდევ ორმა ააბიჯა – **გიორგი თუთაშვილი** (66) და **გიორგი ბერიაშვილი** (100) ტურნირის მესამე პრიზიორები გახდნენ.

◎ ამაღლება

საუკუნეთა სიღრმიდან

ძართული სპორტული სამყარო დღემდე ამაყობს საკავშირო სპარტაკიადაზე ბაბაშიძე-კაკაურიძე-ალთაბაევის ტრიოს მიერ ლეგენდარული ლატვიური ხუთეულის დამატებით დროში დამარცხებით.

შეიძლება, მოედანზე დარჩენილთა რაოდენობა მათ გმირობას არ შეედრებოდეს, მაგრამ მნიშვნელობითა და შექმნილი ვითარების გათვალისწინებით **ილიას ზუროსის** გაწვრთნილი ჩვენი ეროვნული ნაკრების მიერ ევრობასკეტის ჯგუფური რაუნდის მესამე ტურის შეხვედრაში თურქეთის უძლიერეს გუნდთან მეორე ოვერტაიმში მოპოვებული გამარჯვება ასევე ისტორიულთა კატეგორიას განეკუთვნება. გილოცავთ!

თუ გულახდილნი ვიქნებით, ასეთი შედარება მთლად უსაფუძვლო არ გახლავთ – უკვე თბილისურ ფორუმამდე და მის სტარტზევე ტრავმირებულ შენგელიასა და ბითაძეს შერმადინი და სანაძე შეუერთდნენ, რომლებიც პარტნიორებს, შესაბამისად, პერსონალურ შენიშვნათა ლიმიტის ამოწურვისა და დისკვალიფიკაციის გამო გამოაკლდნენ. დაგვეთანხმებით, სოლიდური დანაკლისია, რომელიც ბევრს გატეხავდა წელში.

მასპინძელთა გამოჭედილ ძლევაი საკვირველს კიდევ უფრო დიდ წონას სძენდა დღის მესამე მატჩში ბელგიელთა მიერ ესპანელთა დაჩოქება, რამაც „ჯვაროსნები“ პლეი-ოფის საგზურისთვის ბრძოლაში თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა – ბერლინში გადასანაცვლებლად შანსის შესანარჩუნებლად აუცილებელი გახდა ბოსფორისპირელებთან მოგება.

ეტყობა, სატურნირო ცხრილში შექმნილმა სიტუაციამაც შეუწყო ხელი დარბაზში ტემპერატურის აწევას, რამაც ჯერ უკვე ზემოთნახსენები ინციდენტი გამოიწვია სანაძესა და ქორქმაზს შორის, ხოლო მოგვიანებით – სტუმართა თავკაცის **ერგინ ატამანის** გამძვინვარება, რასაც მსაჯთაგან სათანადო სანქციებიც მოჰყვა.

სხვათა შორის, ამ უდავოდ კვალიფიციურმა სპეციალისტმა, რომელმაც ფენერბახჩე ორჯერ მიიყვანა ევროლიგაში ტრიუმფამდე, ტურნირის სტარტზევე ვერ დაგვამახსოვრა თავი ღირსეული შეფასებებით, როცა დაიწუწუნა – ეს სად ჩამოვედითო, არადა, შეგახსენებთ, რომ თბილისური ქვეჯგუფის ერთ-ერთი წევრის შერჩევისას მასპინძელმა საქართველომ მისთვის გამოყოფილი კვოტით სწორედ თურქეთი მოიწვია. იქნებ, აწი მაინც ვისწავლოთ ჭკუა.

დავძენთ, რომ 22 წამის ფაქტორის ჩათვლით მოვლენები საფინალო სასტვენის შემდეგაც მსგავსი სცენარით განვითარდა, რასაც პრესკონფერენციაზე მეზობელთა დამრიგებლის ასისტენტის **ჰაკან დემირის** მოზომილი კომენტარი დაერთო: **„საქართველო ჩვენი მეგობარი ქვეყანაა. მოთამაშეები ერთმანეთთან კარგად არიან, მაგრამ მოედანზე დიდი დაძაბულობა სუფევდა. ეს დასაშვებია, თუმცა ის, რაც მოედნის მიღმა, გასახდელისკენ მიმავალ დერეფანში მოხდა, როცა ჩვენს ერთ კალათბურთელს სამმა მეტოქემ შეუტია, დაუშვებელია. მიუხედავად ყველაფრისა, გილოცავთ გამარჯვებას ძალიან დაძაბულ შეხვედრაში“.**

სიმბოლურად გვენიშნა: ნერვების ომის შედეგიც – 88:83. დიახ, სწორედ ამ ანგარიშით ვძლიეთ შარშან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველ მატჩში უკრაინას და ვიმედოვნებთ, საქმეს პლანეტის ელიტაში დაბიუტამდე მივიყვანთ.

აღსანიშნავია აგრეთვე ცხრა საუკუნის შემდეგ მაშინდელ მომხდურთა შთამომავლებთან მოხვეჭილი დიდგორის ტოლფასი გამარჯვება! კიდევ ერთხელ გილოცავთ!

საქართველო - თურქეთი 88:83
(25:19, 8:17, 16:17, 19:15, 7:7, 13:8)

საქართველო: მამუკელაშვილი – 20 ქ. 12 მ., მაკფადენი – 17 ქ. 6 პ. შერმადინი – 15 ქ. 7 მ. ანდრონიკაშვილი – 15 ქ. 3 პ. სანაძე – 13 ქ. 8 მ. ბექაური – 3 ქ. 4 მ. ჯინჭარაძე – 3 ქ. ცინცაძე – 2 ქ. ითამაშეს აგრეთვე ბურჯანაძემ და ბოქოლიშვილმა.

და ბოლოს: მადლობა ბიჭებს, რადგან თითოეულმა მათგანმა ბრძოლის ველზე, რომ იტყვიან, ძვლები დადო, მაგრამ განსაკუთრებულ ქებას მაინც თანამედროვე ქართველი საკალათბურთო კვარა – **სანდრო მამუკელაშვილი,** იგივე მამუ იმსახურებს, რომლის გამორჩეულ ღვაწლსაც, თანაგუნდელთა მსგავსად, შეხვედრის ოქმიც მოწმობს. მოვუსმინოთ მას:

„დიდი მადლობა ქომაგებს. საოცარი ატმოსფერო იყო. ძალიან ძლიერ ნაკრებს მოვუგეთ, სადაც ნბა-ს და ევროლიგის ვარსკვლავები ბრწყინავენ. მართალია, შენგელია და ბითაძე გვაკლდა, მაგრამ ყველამ – ანდრონიკაშვილმა, ჯინჭარაძემ, ბექაურმა და კამპანიამ ძალიან კარგად ითამაშეს.

ახლა უნდა დავმშვიდდეთ და მუშაობა განვაგრძოთ. უნდა ვიბრძოლოთ გუნდისა და ქვეყნისათვის“.

მესამე ტურის დანარჩენი მატჩების შედეგები: მონტენეგრო – ბულგარეთი 91:81, ბელგია – ესპანეთი 83:73.

ცნობისთვის: დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ თურქეთის ნაკრები პირველად დავამარცხეთ.

ფიბამ თურქეთის კალათბურთის ფედერაციის პროტესტი არ დააკმაყოფილა. ამის შესახებ ფიბამ ოფიციალური განცხადება გაავრცელა, რომელშიც დასტურდება 22 წამის შეცდომა, მაგრამ ფიბაში განაცხადეს, რომ ეს არ არის იმის გარანტია, რომ მატჩი სხვა შედეგით დასრულდებოდა.

შესაბამისად, მატჩის შედეგის გაუქმება და გადათამაშება ფიბამ გამორიცხა.

„მიუხედავად იმისა, რომ თამაშის მეოთხე პერიოდში მართლაც იყო დროის აღრიცხვის პრობლემა, ფიბამ ვერ დაადგინა, რომ დროის აღრიცხვის შეცდომის არარსებობის შემთხვევაში სხვა შედეგი დაფიქსირდებოდა. შედეგად, თურქეთის კალათბურთის ფედერაციის პროტესტი თამაშის შედეგის გაუქმების მოთხოვნით ანულირებულია.

ორივე ფედერაციის ბრალდებებთან დაკავშირებით და გასახდელში მომხდარზე, რომელშიც ორივე გუნდის მოთამაშეები და დელეგაციის წევრები მონაწილეობდნენ, გამოძიება ამჟამად მიმდინარეობს. მისი დასრულების შემდეგ ფიბას კომპეტენტური ორგანოები მიიღებენ ნებისმიერ დისციპლინურ ზომას“, – ნათქვამია ფიბას განცხადებაში.

საქართველოსა და თურქეთის მატჩის დროს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია გამოხატავს თავის აღშფოთებას თურქეთის ეროვნული საკალათბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელის მიერ განხორციელებული პროვოკაციული ქმედებების გამო. მისი ქმედება მიმართული იყო სიტუაციის გამწვავებისაკენ, იგი არ ერიდებოდა უხამს ჟესტიკულაციას როგორც თამაშის მსაჯების, ასევე დამსწრე მაყურებლების მიმართებით. მისმა არაეთიკურმა ქცევამ, მანამდე პრესაში და პრესკონფერენციებზე არაერთგზის გახმოვანებულმა შეურაცხმყოფელმა განცხადებებმა ზეგავლენა იქონია თურქეთის ნაკრების მოთამაშეებზე, რისი მკაფიო მაგალითიც იყო ფურკან ქორქმაზის მიერ ფიზიკური აგრესიის გამოვლინება საქართველოს ნაკრების მოთამაშეებთან მიმართებაში, რასაც თან დაერთო მისი მხრიდან მუქარები და აგრესიული ქმედებები... მუქარისა და სიცოცხლის ხელყოფის გზავნილები ატაცებულ იქნა თურქეთის ნაკრების გულშემატკივართა მხრიდანაც და არაერთი ასეთი ხასიათის გზავნილი იქნა მიღებული საქართველოს ნაკრების მოთამაშეების მიერ.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია მოითხოვს ფიბასგან სათანადო რეაგირებას აღნიშნულ საკითხზე, რათა მკაცრი პასუხი გაეცეს თურქეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის შეგნებულად განხორციელებულ პროვოკაციულ საქციელს.

იმავდროულად გასაკვირი და ყველა ზღვარს გადაცილებულია თურქეთის კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის ომერ ონანის ცილისმწამებლური განცხადება პოლიციისა და საქართველოს ნაკრების მოთამაშეების მიერ მათ მოთამაშეზე თავდასხმის შესახებ...

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია მიმართავს ყველა ღონეს, რათა ძალიან მალე ნათელი მოეფინოს ომენ ონანის არასწორ და შეურაცხმყოფელ განცხადებას და იტოვებს იმედს, რომ ომერ ონანი არ ახმოვანებს ჩვენი მეგობარი ფედერაციის განწყობას ჩვენსა და ჩვენი სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ და ეს არის მხოლოდ მისი პირადი ინტერპრეტაცია, რომელიც არაა გამაგრებული არანაირი მტკიცებულებით და რის გამოც ვითხოვთ დროულად ჩატარდეს სპეციალური მოკვლევა სიმართლის დასადგენად.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია სრულიად ემიჯნება ყველანაირ ძალადობას. ჩვენი პოზიციაა, რომ რაც მოთამაშეებსა და მატჩის მონაწილეებს შორის ხდება, მოედნის ფარგლებს არ უნდა გასცდეს“.

მერი ქსოვრელი

საქართველოს მხატვართა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი მერი ქსოვრელი.

დაიბადა 1938 წელს. ქალბატონი მერი 1966 წლიდან წარმატებით მონაწილეობდა საერთაშორისო და რესპუბლიკურ სამხატვრო გამოფენებში. მის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში ტრიკოტაჟის ნაწარმის მხატვრული ეროვნული სახის ჩამოყალიბება და განვითარება, ასევე მნიშვნელოვანია ქალბატონი მერი ქსოვრელის დამსახურება ქართული კერამიკის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში. ხანგრძლივი, წარმატებული შემოქმედებითი მოღვაწეობით ქალბატონმა მერი ქსოვრელმა ქართულ დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში ღირსეულად დაიმკვიდრა თვითმყოფადი ხელოვანის სახელი.

საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის მიერ ქალბატონი მერი ქსოვრელი არაერთხელ დაჯილდოვდა ქართული თანამედროვე დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის. ქალბატონი მერი ქსოვრელი შემოქმედებით საქმიანობასთან ერთად ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდა.

ღვაწლმოსილი მხატვრის მერი ქსოვრელის სახელი დიდხანს დარჩება ოჯახის, მეგობრების, კოლეგებისა და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლების ხსოვნაში.

საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობა.



თენგიზ გაჩეჩილაძე

ქართულმა კულტურამ, ქორეოგრაფიულმა საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა სამეჯლისო ცეკვების პატრიარქი საქართველოში. სამეჯლისო სკოლის დამაარსებელი და დამფუძნებელი როგორც საქართველოში, ასევე ამერკავკასიაში, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რუსთაველის საზოგადოების აქტიური წევრი, ჩვენი უფროსი მეგობარი, ბატონი თენგიზ გაჩეჩილაძე.

მაღალი ერუდიციის პიროვნების, თხემით ტერფამდე ინტელიგენტის, ღირსებით სავსე ადამიანის, ბატონი თენგიზის ხსოვნა ბოლო ამოსუნთქვამდე დარჩება ჩვენს გულებში. ნათელი დაადგეს!!!

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების სახელით:

დავით შემოქმედელი, მარიკა კვალიაშვილი, ავთანდილ არაბული, გიორგი გოგოლაშვილი, ვაჟა აზარაშვილი, ომარ მხეიძე, თენგიზ უთმელიძე, ფრიდონ სულაბერიძე, ვაჟა დურგლიშვილი, ჯემალ ადამაშვილი.

ომარ მაისურაძე

დაიბადა 1946 წლის 1 აპრილს საგარეჯოს რ-ნის სოფელ ხაშმში. 1975 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

1975-1980 წლებში მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში. 1980-81 წლებში პარტიულ სამუშაოზეა ქ. რუსთავში. 1981-1991 წლებში იყო რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე. 1992-1995 წლებში მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატში, სამმართველოს უფროსად. 1995-2000 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, ხოლო შემდეგ წლებში ვაკე-საბურთალოს გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი.

ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას, იყო მაისურაძეთა საგვარეულო კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი და 1998-2001 წლებში მისი თავმჯდომარე, ხოლო შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე იყო საპატიო თავმჯდომარე.

მისი აქტიური მონაწილეობით რაჭის სოფელ წედისში და ქვედში აშენდა ეკლესიები. მისი ხელმძღვანელობით 2000 წელს მაისურაძეთა გვარი დალოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია II-მ.

მინიჭებული ჰქონდა პოლკოვნიკის და იუსტიციის უფროსი მრჩევლის წოდებები. დაჯილდოებული იყო მედლებით „შსს უმწიკვლო სამსახურისა“ და „დამსახურებისათვის“.

შესანიშნავი პიროვნებისა და ღირსეული მამულიშვილის, რვა შვილიშვილის ბაბუის სახელი მარად დარჩება მისი გვარის და მეგობრების ხსოვნაში.

სრულიად საქართველოს მაისურაძეთა საგვარეულო კავშირი



მერაბ ბერბერაშვილი

84 წლის ასაკში გარდაიცვალა პურპროდუქტების დარგის გამორჩეული მოღვაწე, დიდი პროფესიონალი, დიდუბის ყოფილი „წისქვილ-კომბინატის“ დირექტორი, ღირსების ორდენოსანი მერაბ ბერბერაშვილი.

1975 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. იქიდან მოყოლებული ღირსეულად ემსახურებოდა არჩეულ პროფესიას. მისი ხელმძღვანელობის დროს, კერძოდ ქვეყნისთვის ურთულეს პერიოდში — დამოუკიდებლობის პირველი წლები, აფხაზეთის ომი, ეკონომიკური და ენერგოკრიზისი — შეძლო ღირსეულად და მაღალი პროფესიონალიზმით დაეძლია ეს უდიდესი და უძნელესი გამოწვევები და მისი საწარმო ერთ-ერთი მოწინავე ყოფილიყო რესპუბლიკაში. ყოველგვარ ძალას ხმარობდა, რათა ფქვილითა და პურპროდუქტებით უზრუნველეყო მოსახლეობა. სწორედ ამიტომაც 1996 წელს პურპროდუქტების მუშაკებთან ერთად, მისი თავდაუზოგავი შრომა ღირსების ორდენით დაფასდა.

მერაბ ბერბერაშვილი, თავისი უსაზღვრო კაცთმოყვარეობით, ტრადიციებისადმი ერთგულებით, მეგობრებისა და თანამშრომლებისადმი განსაკუთრებული, ურთიერთობით, ქალაქის სიყვარულითა და ოჯახიშვილობით გამორჩეული პიროვნება გახლდათ. მან, უერთგულეს მეუღლესთან, ქალბატონ გულიკოსთან ერთად ქვეყანას აღუზარდა ორი შესანიშნავი ვაჟკაცი. მისი საქმისადმი ერთგულება, მის ძმასაც აწგარდაცვლილ ჯემალ ბერბერაშვილსაც გამოჰყვა, რომელიც თბილისის №2 პურის ქარხნის თავკაცი გახლდათ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ამ სპეტაკი ადამიანის სული. იგი მუდამ დაუვიწყარი იქნება მეგობრებისა და ახლობლების გულში.

ბაკურ გულუა, თამაზ ახალკაცი, იური ოსიპოვი, თემურ ხორხოშელიძე, ალექსანდრე ოღლიაშვილი, თამაზ ბაციკაძე, იოსებ კუხიანიძე, ომარ კაჭარავა, თამაზ გელაშვილი, მალხაზ დოლიძე, სპარტაკ გოგინავა, თენგიზ ბაზერაშვილი, ჯემალ კვირიკაშვილი, ალეკო ყიფიანი.

უკანონო ტყითსარგებლობის 164 ფაქტი გამოვლინდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 2022 წლის 1 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით, უკანონო ტყითსარგებლობის 164 ფაქტი გამოავლინეს. მათ შორის 114 — ხე-ტყის უკანონო მოპოვება-ტრანსპორტირებას ეხება, 50 კი უკანონო სახერხი საამქროებისა და საამქროების მიერ ტექნიკური რეგლამენტის დარღვევის ფაქტებია, — ამის შესახებ ინფორმაციას გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, სამართალდარღვევებიდან 20 ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების ყველაზე მეტი - 43 ფაქტი გამოვლინდა კახეთის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე. იმერეთში დაფიქსირდა 21 სამართალდარღვევა, აჭარაში — 13, სამცხე-ჯავახეთში — 12, ქვემო ქართლში — 7, შიდა ქართლში — 5, სამეგრელო-ზემო სვანეთშიც — 5, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთში — 4, გურიაში — 2, მცხეთა-მთიანეთშიც 2 სამართალდარღვევა გამოვლინდა.

ჯამში, ამოღებულია უკანონოდ მოპოვებული 690-ზე მეტი კუბური მეტრი მოცულობის ხე-ტყე. ამავე პერიოდში, დაფიქსირდა სახერხი საამქროს ტექნიკური რეგლამენტის დარღვევის 44 ფაქტი. ასევე, ამოღებულია 6 ერთეული არარეგისტრირებული სახერხი საამქრო. მათგან, 3 უკანონო სახერხი საამქროა გამოვლენილი იმერეთში, თითოთითო კი — შიდა ქართლში, კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში.

შესწორება

მიმდინარე წლის 30 აგვისტოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ №131-132-ში გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებულ განცხადებაში დაშვებული იქნა შეცდომა. ნაცვლად გურიის რეგიონში უნდა იკითხებოდეს რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 104 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

„მუზა“ ეკა ჯანაშიას გამოფენაზე გეპატიჟებათ!

საქართველოს კულტურის ფონდი მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრში „მუზა“ აწყობს მხატვარ ეკა ჯანაშიას პერსონალურ გამოფენას.

გამოფენა გაიხსნება 2022 წლის 9 სექტემბერს, 19 სთ-ზე.

გელათის სამონასტრო კომპლექსის ძირითად ტაძარში დროებითი გადახურვა მოეწყო

კულტურის სამინისტროს ცნობით, გელათის სამონასტრო კომპლექსის ძირითად ტაძარში, დასავლეთ მკლავზე ლითონის ახალი, დროებითი გადახურვა მოეწყო.

უწყებაში აცხადებენ, რომ პროცესი UNESCO-ს მაღალკვალიფიციური ექსპერტის, პროფესორ უგო ტონიეტის რეკომენდაციითა და ზედამხედველობით მიმდინარეობდა.

„ახალი დროებითი გადახურვა წინა გადახურვასთან შედარებით არის გაცილებით მსუბუქი და ტაძარი დაცულია წყლის შელწევისგან ნებისმიერ კლიმატურ პირობებში. ამ ეტაპზე, ინტენსიურად მიმდინარეობს გამოშრობის პროცესი, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია ფრესკების გადასარჩენად“, – აცხადებენ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში.

ეროვნული გალერეა დავით კრაწაშვილის ნამუშევრებს უმასპინძლებს

დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში, დავით კრაწაშვილის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა. 40-მდე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი – ერთი პატარა მხატვრის მემკვიდრეობის ნაწილია.

დავით კრაწაშვილი, რომელსაც მისი შემოქმედების გამო პატარა გენიოსი უწოდეს, 1963 წელს თბილისში დაიბადა. ხატვით ბავშვობიდანვე გატაცებული იყო. პირველი ჯილდო კი 16 წლის ასაკში მიიღო. ხატვდა ყველა სახის მასალით, შესაბამისად, გამოფენის ორგანიზატორებმა დამთვალიერებელს საკმაოდ მრავალფეროვანი ექსპოზიცია მოუმზადეს. დავით კრაწაშვილი 17 წლის ასაკში გარდაიცვალა, თუმცა დატოვა შემოქმედება, რომელიც დღემდე ცოცხლობს.

ქართველი პრიმა-ბალერინას კიდევ ერთი აღიარება

მსოფლიო დონის ვარსკვლავს, ყველასთვის საამაყო ბალერინას, ნინო ანანიაშვილს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ჯილდო გადაეცა. ქართველი პრიმა, 4 სექტემბერს იტალიის კუნძულ კაპრიზე გამართულ საერთაშორისო დაჯილდოების ცერემონიალზე „ Premio Capri Danza International“ პრიზის მფლობელი გახდა. დაჯილდოების ცერემონია Certosa San Giacomo-ში გაიმართება.

წლების განმავლობაში ეს პრემია მიღებული აქვს მსოფლიო დონის ვარსკვლავებს: კარლა ფრაჩის, ვიქტორ ულატეს, ნიკოლა დელ ფრეოს, ლუჩიანა სავინიანოს, ვლადიმირ ვასილიევს და სხვ. კაპრის დაჯილდოების ცერემონიალი ყოველწლიურად, ზაფხულის ბოლოს ტარდება და ის დამსწრე საზოგადოებას ულამაზესი, ზღაპრული წარმოდგენებითაც ანებივრებს.

დაჯილდოების შემდეგ გამართულ გალა-კონცერტში, მონაწილეობა მიიღეს, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანმა სოლისტებმა: ნინო სამადაშვილმა, ეკატერინე სურმავამ და ოსკარ ფრეიმ.

ინდოეთი ეკონომიკურად უძლიერესი ქვეყნების ხუთეულშია

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და Bloomberg-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ინდოეთმა იმდენად მაღალი ეკონომიკის ზრდა დააფიქსირა, რომ დიდი ბრიტანეთის ყოფილმა კოლონიამ, თავად ბრიტანეთს გადაუსწრო რეიტინგში და საპატიო მე-5 ადგილი დაიკავა აშშ-ის, ჩინეთის, იაპონიის და გერმანიის შემდეგ.

ევროპაში მიმდინარე გეოპოლიტიკური მოვლენების შედეგად ბრიტანეთის და სხვა ევროპული ქვეყნების ეკონომიკა, არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობაშია. ამჟამად ინდოეთის ეკონომიკის მოცულობა 3.2 ტრილიონ დოლარს აღწევს. პროგნოზირებულია, რომ წელს ქვეყნის ეკონომიკა 7%-ით გაიზრდება. 2026 წლისთვის კი ინდოეთის მშპ-ის მაჩვენებელი $5.5-ტრილიონიან ნიშნულს გადააჭარბებს. აქვე უნდა ვთქვათ, რომ მოსახლეობის სწრაფი ტემპით ზრდის მაჩვენებლით, 2024 წელს სავარაუდოდ იგი ჩინეთს გადაუსწრებს და მსოფლიოს ყველაზე მეტი ინდოელი ეყოლება.

ბარაკ ობამამ „ემის“ ჯილდო მოიპოვა



ამერიკის რიგით 44-ე პრეზიდენტმა, ბარაკ ობამამ 4 სექტემბერს გამართულ „Creative Arts Emmy Awards“ ცერემონიალზე საუკეთესო წამყვანის კატეგორიაში გამარჯვებული გახდა.

პოლიტიკოსი, Netflix-ის მიერ გადაღებული დოკუმენტური მინი-სერიალის, „Our Great National Parks“-ის წაყვანისთვის დაჯილდოვეს. პროექტი მისი და მიშელ ობამას კომპანიის, Higher Ground-ის მიერ არის გადაღებული. „ემის“ ისტორიაში ეს მეორე შემთხვევაა, როცა პრიზი ქვეყნის პრეზიდენტს გადაეცა. პირველად მსგავსი ნომინაცია 1956 წელს იმჟამინდელ მეთაურს, დუაიდ ეიზენჰაუერს მიანიჭეს. მან ჯილდო იმისთვის მიიღო, რომ გახდა პირველი პრეზიდენტი, რომელმაც სატელევიზიო პრეს-კონფერენცია ჩაატარა. ობამას ასევე მიღებული აქვს ორი მუსიკალური ჯილდო „გრემი“. ქვეყნის ყოფილი ლიდერი საკუთარი მემუარების აუდიო ვერსიებისთვის დააჯილდოვეს.

მოამზადა რუსუდან ქობულიამ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟურნალ-გაზეთი №170

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„ვეშაპი“ ვენეციის კინოფესტივალზე

ვენეციის კინოფესტივალზე რეჟისორ დარენ არანოფსკის ახალი ფილმის „ვეშაპის“ პრემიერა შედგა. მთავარ როლებს სურათში „მუმიას“ ვარსკვლავი ბრენდან ფრეიზერი და „უცნაური ამბების“ მსახიობი სედი სინკი ასრულებენ. პრემიერის შემდეგ დარბაზი ფრეიზერს 6-წუთიანი ოვაციით შეხდა, მსახიობმა კი ცრემლები ვერ შეიკავა.

ფილმს საფუძვლად სემუელ ჰანტერის ამავე სახელწოდების პიესა უდევს, რომელმაც არაერთი პრესტიჟული ჯილდო მიიღო. სწორედ ჰანტერი გახდება პიესის ადაპტირებული სცენარის ავტორი. სურათის მთავარი გმირი საშუალო ასაკის მასწავლებელი ჩარლია, რომელიც 270 კილოგრამს იწონის. მან ოჯახი წარსულში კაცი საყვარლის გამო მიატოვა. საყვარლის გარდაცვალების შემდეგ ჩარლის ჭარბწონიანობის პრობლემა აწუხებს. ახლა ის თავის 17 წლის ქალიშვილს ხანგრძლივი პაუზის შემდეგ შეხვდა. ამ ეტაპზე უცნობია როდის გამოვა ფილმი დიდ ეკრანებზე, თუმცა კინოკრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ „ვეშაპს“ არაერთი პრესტიჟული ჯილდოს მიღება შეუძლია.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 9 სექტემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8795; ევრო - 2.8599
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3152;
100 რუბლი - 4.7132; თურქული ლირა - 0.1589;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6928;
1000 სომხური დრამი - 7.1143.

ამინდი 7 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+12,	დღე	+22
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+20
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14,	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	+8	დღე	+20
თბილისი:	ღამე	+17,	დღე	+24

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge